# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 აგვისტო 2006 №183 (2805) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანტიდეპრესიული საუბარი პრესასთან

### უფლებამოსილმა მინგემ ორივე ნაკრები განაცხადა



...დაცვაში პრობლემები გვაქვს, მაგრამ დეპრესიაში არ უნდა ჩავვარდეთ...

...ძალიან რთული მატჩი გველის, ფარერელები სულ იმას ცდილობენ, თავი შეაკლან მოწინააღმდეგეს...

...ფარერებზე ფავორიტის როლი ღირსეულად უნდა შევასრულოთ...

კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგემ ამის გარდა გუშინ სხვაც ბევრი გვითხრა 16 აგვისტოს მატჩზე. იმავე დღეს თამაშობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც, რომლის მთავარი მწვრთნელი სწორედ მინგეა, მაგრამ ის მაინც ფარერებზე მიდის ეროვნულ ნაკრებთან ერთად.

საფარეროდ გამოძახებულთა სიაში ერთი დებიუტანტია — კიევის დინამოელი დავით იმედაშვილი, რომელიც ტრავმირებულ მცველთა ერთ-ერთ ვაკანსიას შეავსებს.

კიდევ: ამ მატჩზე საუბრისას მინგე მითოლოგიასაც კი გადასწვდა.

**მეკარეები**

გიორგი ლომაია (ლუჩ ენერგია, რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი)

**მცველები**

დავით კვირკველია (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), კახა ალადაშვილი (დნიპრო, უკრაინა), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნ როვერსი, ინგლისი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, უკრაინა), დავით იმედაშვილი (დინამო, უკრაინა)

**ნახევარმცველები**

გოგა გახოკიძე (ტვენტე, ჰოლანდია), ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (შინიკი, რუსეთი), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), დავით მუჯირი (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი (პანიონიოსი, საბერძნეთი), გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი)

**თავდამსხმელები**

ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი), გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), შოთა არველაძე (ალკმაარი, ჰოლანდია).

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ევროშესარჩევის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე 16 აგვისტოს კაუნასში ლიტვას გაეჯიბრება, 3 სექტემბერს კი თბილისში, მიხეილ მესხის სტადიონზე უმასპინძლებს სერბეთს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რალფ მინგემ გუშინ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც ლიტვაში გაემგზავრებიან...

**მეკარეები**

ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), რევაზ თევდორაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა)

**მცველები**

აკაკი ხუბუტია (კაუნასი, ლიტვა), ზურაბ გვაძაბია (ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი სეთურიძე (ოლიმპი), შოთა კაშია (დინამო), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), გიორგი ნავალოვსკი (დინამო)

**ნახევარმცველები**

გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), გიორგი მერებაშვილი (დინამო), მირზა ბჟალავა (ზესტაფონი), შოთა გრიგალაშვილი (დინამო), ალექსანდრე კობახიძე (დინამო), გოგი ფიფია (ზესტაფონი)

**თავდამსხმელები**

ნიკოლოზ გელაშვილი (ვიტ ჯორჯია), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი).

## კარგი კადეტური

გუშინ ესტონეთში ქართველმა კადეტებმა ოპტიმისტურად დაიწყეს B დივიზიონიდან A-ში ასანაცვლებელი ტურნირი. სადებიუტო მატჩში მათ 90:77 დაამარცხეს მასპინძელი ესტონელები. როგორც საქართველოს ყველა ასაკის ნაკრები, 16-წლიანებიც ქვედა დივიზიონში, ანუ ევროპის სუსტ ნახევარში თამაშობენ. ორიოდ კვირის წინ ახალგაზრდულმა ნაკრებმა შეძლო, B დივიზიონიდან თავის დაღწევა, ახლა ჯერი კადეტებზეა. დღეს ისინი ავსტრიელ თანატოლებს ეთამაშებიან.




## გიოტცი: ჩიხრაძე მედიადუელი მინდორზე დუელამდე




გუშინ გიორგი ჩიხრაძემ ამერელები „ფრიდრიხ ლუდვიგ იან შპორტპარკზე“ მსუბუქად ავარჯიშა

უეფას თასი 2006–2007

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# ერთი ტრავმირებული თამაშამდე: გერმანელმა დიქტორმა ენა მოიტეხა



კობა ინასარიძე ბერლინიდან


Hertha muß Tsinamdzgvrishvili stoppen

Morgen Uefa-Cup-Qualifikation

Von KLAUS-DIETER VOLLRATH

Achtung Hertha! Uefa-Cup-Gegner FC Ameri Tiflis ist in Frühform. Die Georgier gewannen die ersten beiden Meis- sprechlich gut: Rati Tsinamdzgvrishvili und Denis Dobrovolski.

Der Stadionsprecher im Jahnsportpark sollte schon heute üben, damit müssen alle Georgier ernst nehmen. Das Spiel wird kein Selbstläufer."

Hertha muss ohne Christian Gimenez gegen Ameri stürmen. Der Neuzugang von Marseille ist in der Uefa-Quali nicht spielberechtigt.




...**ერთი** სახალისო ამბავი წერია გუშინდელ „ბილდში". წერილის ავტორი კლაუს-დიტერ ფოლრატი ამბობს, რომ ბერლინის „ფრიდრიხ ლუდვიგ იან შპორტპარკის" სტადიონის დიქტორი უკვე ორი დღეა, ქართული გვარების სწორად წარმოსათქმელად ვარჯიშობს და ამისთვის საგანგებო რეჟიმით მუშაობს...

„ქართველებს ენისმოსატეხი გვარები აქვთ და თვალის ერთი გადავლებით ძალიან ძნელია, ზუსტად წარმოთქვა ქვაჩახია, ხვადაგიანი, დეკანოსიძე და წინამძღვრიშვილი" — წერს გერმანელი ჟურნალისტი, მაგრამ, მგონი, ცოტა გამიგრძელდა და ვიდრე მთავარ ბერლინურ ამბებზე მოვყვებოდე, ისე დავიწყებ, როგორც თავიდან იყო.

თბილისის „ამერი" ბერლინში „ჰერტასთან" სათამაშოდ გუშინ დილის 11 საათისთვის ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა. „აირზენას" ბოინგი, საბორტე ნიშნით „კახი ასათიანი", ბერლინის აეროპორტ „შიონეფელდში" დაეშვა, რომელიც, სხვათა შორის, გაკომუნისტებული გერმანიის მთავარ აეროპორტად ითვლებოდა და ის შტრიხები ახლაც ეტყობა, საბჭოური შენობა-ნაგებობებისთვის რომაა დამახასიათებელი. თუმცა გერმანიას, რომელიც გაერთიანების შემდეგ ასე „კატასტროფული" ტემპით ვითარდება, ამ აეროპორტის ნაცვლად ახლის აშენება, აბა, როგორ უნდა გაუჭირდეს და იქვე ევროპაში უდიდესი საჰაერო სადგურის მშენებლობაც რამდენიმე თვის წინ დაუწყიათ...

ქართული დელეგაცია სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" მოეწყო, სადაც ერთი-ორი თვის წინ, მუნდიალისას, თავისუფალი ნომრის ნასახიც არ იყო...

თბილისელებმა ნასადილევს დაისვენეს, ხოლო შვიდი საათისთვის დღევანდელი მატჩის სარბიელს „ფრიდრიხ ლუდვიგ იან შპორტპარკს" მიადგნენ... ისე, ბევრს კი ვეცადე, ზემოხსენებული დიქტორი თავადაც მენახა, მისი ვინაობაც გავიკითხ-გამოვიკითხე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. „ამერმა" კი ამ უსაშველოდ გრძელი სახელწოდების სტადიონის ჩინებულ მოედანზე დაახლოებით ერთი საათი მსუბუქად ივარჯიშა და „მეორე ტაიმი" უკვე სასტუმროში გააგრძელა, სადაც თეორიული მეცადინეობა ჩატარდა. მერე კი „ამერის" მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ გვითხრა:

„თქვენც შეამჩნევდით, „ჰერტასთან" მატჩისთვის ჩვეულებრივ ვემზადებით, გუნდში განსაკუთრებული არაფერი ხდება. სასიამოვნოა, რომ ფეხბურთელებს ნერვიულობას და დაძაბულობას ვერ ვატყობ, რაც მატჩის წინ დადებითი ფაქტორია. ჩვენ ჩვენი შესაძლებლობები ბოლომდე უნდა გამოვავლინოთ და მეტოქეს ტოლ-სწორად ვეთამაშოთ. მერე რა, რომ ბუნდესლიგელი „ჰერტაა" მეტოქე, დაუმარცხებელი არავინაა, მთავარია, ჩვენი ძალების ვირწმუნოთ და ფსიქოლოგიურად არ წავაგოთ.

...მასპინძელთათვის გარკვეულ სიურპრიზს ვამზადებთ. რას, ცხადია, არ გეტყვით, მაშინ რაღა სიურპრიზი იქნება?! გააჩნია, მეტოქე რის საშუალებას მოგვცემს, ისე კი, ეს ჩვენი სიურპრიზი ეპიზოდურად უფრო შესამჩნევი იქნება. საქართველოს ჩემპიონატში „ამერი" 90 წუთს მაღალ ტემპში თამაშობს, რადგანაც ფიზიკურად მეტ-ნაკლებად უკეთ ვართ მომზადებულნი, „ჰერტასთან" კი ეს ხერხი არ გამოგვადგება. „ამერი" უფრო კომპაქტურად ითამაშებს და შეტევებს მეტწილად ფლანგებიდან ეცდება. „ჰერტაზე" საკმაო ინფორმაცია მაქვს. გუნდი ფიზიკურად ძლიერი და შეტევის მოყვარულია. მეტოქეს აქამდე ერთი გამორჩეული თავდამსხმელი ჰყავდა — მარკო პანტელიჩი. ახლა კი ბერლინელებმა სამი ფორვარდი შეიძინეს — ლაკიჩი, ედუ და ხიმენესი, რომელიც ჩვენთან ვერ ითამაშებს. ბერლინელებს ჰყავთ საკმაოდ კვალიფიციური გამთამაშებელიც — ბაშთურქი.

...მეტოქის ნაკლი ინტერტოტოზე „მოსკვასთან" და გერმანიის ლიგის თასზე „ჰამბურგთან" მატჩებისას დავინახე. განაპირა მცველები და ჰავბეკები შეტევის შემდეგ უკან დროულად დაბრუნებას ვერ ახერხებენ და ეს საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ. მართალია, ჩვენთან, ალბათ, ფრიდრიხიც ითამაშებს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, საგოლე შანსები გვექნება და ეს უნდა გამოვიყენოთ."

წინა შეხვედრების მსგავსად „ამერის" სასტარტო შემადგენლობაში მცირე ცვლილებები ახლაც იქნება.

გიორგი ჩიხრაძემ ვახტანგ ხვადაგიანი, გრიგოლ დოლიძე და რატი წინამძღვრიშვილი ახსენა, რომლებსაც მიკროტრავმები აწუხებთ და დღეს გაირკვევა, შეძლებენ თუ არა თამაშს. გუნდის ექიმ ზურაბ ლომინაძეს კი ეიმედება, რომ მატჩს ისინი მზად შეხვდებიან.

...სხვათა შორის, იმ წერილს, რომელიც გუშინ „ბილდში" იყო დაბეჭდილი, სწორედ რატი წინამძღვრიშვილის ფოტო ახლავს და ასეა დასათაურებული: „ჰერტამ" წინამძღვრიშვილი უნდა შეაჩეროს". წერილი კი ასე იწყება: „ჰერტა" — ყურადღებით! ქართველები აღმავლობის გზაზე არიან, ჩემპიონატში ორიდან ორი თამაში მოიგეს და გოლი არ მიუღიათ..."

ავტორი წინამძღვრიშვილთან ერთად დენის დობროვოლსკისაც გამოარჩევს, ვისაც ამერელთა შუახაზის ლიდერად მიიჩნევს.

„ჰერტას" მწვრთნელი ფალკო გიოტცი კი, ჩვენი კოლეგისგან განსხვავებით, „ამერის" განსაკუთრებით სახიფათო ფეხბურთელების გვარებს არ ასახელებს, თუმცა „შპორტ-ბეცეტთან" ინტერვიუში ამბობს, რომ „ამერს" ერთი-ორი ჩინებული ფეხბურთელი ჰყავს, დიდი ყურადღება გვმართებს ორ ცაცია თავდამსხმელზე, ისინი სწრაფები და მოქნილები არიან".

გიოტცი გვარებს არ ასახელებს, ეგებ არც იცის, ჩვენ კი ვივარაუდოთ, რომ ბერლინელთა მწვრთნელი იმავ წინამძღვრიშვილსა და სულიკო დავითაშვილს უფრთხის.

თითქოს გიორგი ჩიხრაძის სიტყვების გაგრძელებაა ო და, ფალკო გიოტცი თავის გუნდს რეაქტიული თამაშისკენ მოუწოდებს...

„ჩვენ მაქსიმალურად სწრაფად ვიმოქმედებთ და მეტოქეს შეცდომების დაშვებას ვაიძულებთ" — ამბობს „ჰერტას" თავკაცი და იმასაც დასძენს, რომ „ამერი" სერიოზული მეტოქეა და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ძალების სრული მობილიზებით თამაში გვმართებსო.



ბოლოსკენ ერთი სახალისო ამბავიც. ეს გერმანელები ყოვლად მოწესრიგებულნი და უშეცდომონი რომ გვგონია, მთლად ასეც არ ყოფილა. აგერ, დღევანდელი თამაშის ბილეთი და დანარჩენი თავად განსაჯეთ. „ჰერტა" — „ამერი" თურმე ინტერტოტოს მატჩი ყოფილა...

ბერლინურ ამინდზე კი სულ ერთი სიტყვით — ტემპერატურა 18 გრადუსია და გუშინ ნაშუადღევს წამოწვიმა კიდეც.

მაშ ასე: დღეს ბერლინის სტადიონზე, ჩვენი დროით 21 საათზე, „ჰერტა" — „ამერი"...

დანარჩენი მატჩის შემდეგ...

## კვეტენაძეს ორით აუკრძალეს

**გუშინ** გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელზეც „ბორჯომ" — „ლოკომოტივის" მატჩის თანამსაჯ დავით კვეტენაძის შეცდომები განიხილეს. კომისიის გადაწყვეტილებით, კვეტენაძეს ორი ტურით აეკრძალა უმაღლესი ლიგის მატჩებზე მომსახურება.

ლუკა თალაკვაძე

## geo_geo_fan@hotmail.com

ახალი სანაკრებო სეზონი კარს მოგვადგა და თქვენი სანაკრებო რუბრიკაც კარს გიღებთ.

ვფიქრობთ, ჩვენი აქამდელი ურთიერთობა ძალიან საინტერესო და ამავდროულად საქმიანი იყო, ამიტომაც მიზანშეწონილად ვთვლით, ურთიერთობა მომავალში გავაგრძელოთ — საქართველოს ნაკრები ხომ თქვენია, ჩვენია, ქომაგებისაა, ხალხისაა და ჩვენც ფარერებით დავიწყოთ: რა შეხსენება გინდათ, რომ 16 აგვისტოს ფარერები — საქართველოა. ჰოდა, საინტერესოა, რას ფიქრობთ ამ მატჩზე და ზოგადად ნაკრებში მიმდინარე ამბებზე.

მოგვწერეთ...

geo_geo_fan@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავითის ბრძოლა გოლიათთან

## გერმანული მეტაფორა ფარერელებზე და ქართველებზე





**16 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევის პირველ მატჩში სტუმრად ფარერებს ეთამაშება, ახალგაზრდული ნაკრები კი ევროშესარჩევის მეორე ეტაპის პირველ შეხვედრაში ლიტველ თანატოლებს შეხვდება. ამასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა და საქართველოს ნაკრებთა მწვრთნელთაგანმა, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა რალფ მინგემ პრესკონფერენცია გამართეს...**

**ნოდარ ახალკაცი,** ფედერაციის პრეზიდენტი: ახლახან ვესაუბრეთ ზურაბ ხიზანიშვილს, ბოლო ინფორმაციის მიღება გვსურდა და შევიტყვეთ, რომ ბოლომდე გამორიცხული არაა ფარერებთან მისი თამაში. დღევანდელი გადასახედიდან კი ხიზანიშვილი ფარერებთან თამაშს ვერ შეძლებს. იცით, რომ კალაძეც ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს. მოკლედ, დაცვაში პრობლემები გვაქვს. ლევან ცქიტიშვილს კი შეუძლია დაცვაში თამაში, თუმც ისიც ვერაა სრულად ჯანმრთელი — კუნთი აქვს დაჭიმული და მწყობრში ჩასადგომად ექვსი დღელა რჩება. ვერ დაგვეხმარება მათე ღვინიანიძეც, რადგან ის დისკვალიფიცირებულია. ასეთი ვითარებაა ამ დროისთვის.

**რალფ მინგე:** ფარერებთან ფავორიტის როლში ვართ და გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ფეხბურთელთა ტრავმები განსაკუთრებით დაცვაში გვირთულებს სიტუაციას. იმავე დღეს თამაშობს ახალგაზრდული ნაკრები და აქაც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით გვექმნება პრობლემა — ჯაბა კანკავა და ოთარ მარცვალაძე ახალგაზრდული ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან, მაგრამ რადგან ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩები ერთმანეთს ემთხვევა, კანკავა და მარცვალაძე ეროვნულში გამოვიძახეთ, თუმც მარცვალაძე ტრავმირებულია. ახალგაზრდული ნაკრებისთვის გვინდოდა დავით იმედაშვილიც, მაგრამ ეროვნული ნაკრების დაცვის ხაზში შექმნილი სიტუაციის გამო, ის ახალგაზრდულს ვერ დაეხმარება. ახალგაზრდულ ნაკრებში მეტალურგელი ირაკლი მოდებაძის და ლოკომოტიველი გიორგი ჭელიძის გამოძახებაც გვსურდა, მაგრამ ისინიც დაშავებულნი არიან. ლიტვასთან მატჩისთვის ახალგაზრდულ ნაკრებში 19-წლამდელთა ნაკრების შვიდი-რვა ფეხბურთელი გამოვიძახეთ, ისინი ახალგაზრდულში თამაშს იმსახურებენ, რაც „ხეტაფესთან" ამხანაგურ მატჩშიც გამოჩნდა. თან ამით 19-წლამდელთა ნაკრების ინტერესებსაც ვითვალისწინებთ.

— კლაუს ტოპმიოლერი კონტრაქტის თანახმად თვეში ორი კვირა უნდა იყოს საქართველოში, მაგრამ ასე არ ხდება...

**ახალკაცი:** კონტრაქტში ასეთი პუნქტი არ არის.

**რევაზ არველაძე,** ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: ტოპმიოლერი ვალდებული იყო, ჩვენი მეტოქეების თამაში ცოცხლად ენახა მუნდიალზე და მან ეს შეასრულა.

— მეტოქეზე რა ინფორმაციას ფლობთ?

**მინგე:** ამ მხრივ, რაც კი შესაძლებელი იყო, ყველაფერი გავაკეთეთ. მეტოქეს სამი-ოთხი ლეგიონერი ჰყავს და მათზე სრულ ინფორმაციას ვფლობთ. მე და ტოპმიოლერი ვიყავით ფარერის კუნძულებზე და ადგილზე ვნახეთ ყველაფერი — სასტუმრო და მოედნები. წინა შესარჩევ ციკლში ფარერების მეტოქე შვეიცარიაც იყო და შვეიცარიელებისგან მოწოდებული ვიდეომასალაც შევისწავლეთ. ფარერებმა ბოლოს პოლონეთთან ითამაშა ამხანაგური მატჩი და იმ შეხვედრასაც დავესწარით. სკანდინავიაში გვყავს ჩვენი ინფორმატორი ფლეიმინგ პოულსენი და მანაც მოგვაწოდა ინფორმაცია ფარერების ნაკრებზე. ამ ყველაფრიდან ერთ დასკვნამდე მივედით — ურთულესი მატჩი გველის ურთულეს მოწინააღმდეგესთან. გერმანიის ნაკრებმა ფარერებს გოლები 89-ე და 90-ე წუთებამდე ვერ გაუტანა, შვეიცარიამ კი 85-ე წუთზე შეუგდო. ერთი სიტყვით, ფარერებზე გასეირნება არ გველის.

— დაცვის გარდა პრობლემებს სხვა რგოლებშიც ხედავთ?

**მინგე:** დაცვაში მართლაც რთული სიტუაციაა, მაგრამ ტრავმიანობა იმას არ ნიშნავს, რომ დეპრესიაში უნდა ჩავარდეთ. ნახევარდაცვაში და თავდასხმაში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყველაფერი რიგზეა. თუმც ის კია, რომ უკრაინაში და რუსეთში მოთამაშე ლეგიონერების გარდა, სხვებს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ.

— მეტოქის ძალაზე რას იტყოდით?

**მინგე:** დავითის და გოლიათის ამბავი ხომ იცით?! დავითს არ შეუძლია მოერიოს გოლიათს, თუ ამაში გოლიათმა არ შეუწყო ხელი. ფარერებთან მაქსიმალურად მობილიზებულნი უნდა ვიყოთ და მაღალი განწყობით ვითამაშოთ, ფავორიტის როლი ღირსეულად უნდა შევასრულოთ. ფარერელები სკანდინავიურ-ბრიტანულ სტილში თამაშობენ, ფეხბურთელთა ინდივიდუალურ ხარვეზებს ერთიანი, კოლექტიური მოქმედებით აკომპენსირებენ, ცდილობენ, თავი შეაკლან მეტოქეს.

— იმავ დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რომ თამაშობს, როგორ გადანაწილდება ამ ორ თამაშზე სამწვრთნელო შტაბი?

**მინგე:** ძალიან მინდოდა ლიტვაში გუნდთან ერთად ყოფნა, მაგრამ ჩვენი პრიორიტეტი ეროვნული ნაკრებია და ფარერებზე მივდივარ. ახალგაზრდულ ნაკრებს კი ლიტვაში კობა ჟორჟიკაშვილი უხელმძღვანელებს, ის იქ ჩვენი დავალებებით იმოქმედებს — ჩვენ მას ვენდობით.

— რა ვითარებაა 17-წლამდელთა ნაკრებში? რას იტყოდით ჰერბერტ ცანკერის მუშაობაზე და როდის გაირკვევა პალანგის საერთაშორისო ტურნირზე წამსვლელ 17-წლამდელთა სია?

**ახალკაცი:** ხვალ 17-წლამდელები ერთხელაც ეთამაშებიან სომეხ თანატოლებს და სიაც ამის შემდეგ გაცხადდება. რაც შეეხება ცანკერს, მან თავიდან 800-1000 ფეხბურთელი შეარჩია და შეისწავლა, ჩაუტარა ტესტირებები და 25 ფეხბურთელამდე ჩამოვიდა, საიდანაც საბოლოოდ 18-ს აარჩევს. ასეთი ნაკრები არასდროს გვყოლია — ცანკერი ფეხბურთელებს საქართველოს ყველა კუთხეში ეძებდა.

— ფარერებთან მატჩისთვის გუნდი როგორი პროგრამით მოემზადება?

**მინგე:** 13 აგვისტოს კოპენჰაგენში ვიკრიბებით და იქიდან ფარერებზე მივემგზავრებით. რამდენიმე ფეხბურთელი ფარერებზე მეორე დღეს ჩამოვა. 14 აგვისტოს ორჯერ ვივარჯიშებთ, 15-ში — ერთხელ. სასტუმროდან იმ სტადიონამდე, სადაც მატჩი გაიმართება, 75 წუთის სავალია.

— შოთა არველაძეს რა სახის ტრავმა აქვს?

**რევაზ არველაძე:** მას პატარა პრობლემა აწუხებს, თუმც მიუხედავად ამისა, ვარჯიშს განაგრძობს და უკეთესობის იმედი გვაქვს. ვფიქრობ, მისი ტრავმა საგანგაშო არ იქნება.

— მომავალ შესარჩევ ციკლში ეროვნული ნაკრებისთვის საპრემიო სისტემა შემუშავებულია?

**ახალკაცი:** სისტემა შევიმუშავეთ, მაგრამ ახლა არ მსურს დეტალებზე ლაპარაკი. ამაზე მაშინ ვისაუბრებთ, როცა საჭიროდ ჩავთვლით.

**გოგი ქავთარაძე,** ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: ფარერებთან მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „რუსთავი 2" გადასცემს. გვინდა, რესპუბლიკის მოედანზე დავამონტაჟოთ დიდი ეკრანი, რათა გულშემატკივრებს ასეც შეეძლოთ მატჩის ყურება. 12 აგვისტოს კი კინოთეატრ „ამირანში" შედგება პრეზენტაცია დოკუმენტური ფილმისა „ერთი გუნდი". ფილმი ჩვენს ეროვნულ ნაკრებზეა და ამ ფილმის რეჟისორი და პროდიუსერი სერგი გვარჯალაძეა. ფარერების შემდეგ ნაკრებს მომდევნო გასვლითი მატჩი უკრაინაში აქვს 6 სექტემბერს და ბევრ გულშემატკივარს სურს იქ წასვლა. საამისოდ ვამზადებთ პაკეტებს, რათა ჩვენმა გულშემატკივრებმა შეღავათიან ფასში და იმავდროულად კომფორტულად შეძლონ ნაკრების საქომაგოდ უკრაინაში გამგზავრება.

**დავით თავართქილაძე**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე



# მამლები და ყვინჩილები

## რაიმონ დომენეკის ახალი საფრანგეთი

**16 აგვისტოს** სარაევოში ბოსნიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ საფრანგეთს დაუხვდება. ეს ამხანაგური მატჩი ბოლო მოსამზადებელი სპარინგია „მამლებისთვის" თბილისში ჩამოსვლამდე.

მუნდიალის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებში ბევრი ცვლილება მოხდა და რაიმონ დომენეკმაც საბოსნიო სიაში რამდენიმე ახალი მოთამაშე შეიყვანა.

**მეკარეები:** გრეგორი კუპე (ლიონი), მიკაელ ლანდრო (პსჟ);

**მცველები:** ერიკ აბიდალი (ლიონი), ჟან-ალენ ბუმსონგი (ნიუკასლი, ინგლისი), ფრენსის კლერკი (ლიონი), უილიამ გალასი (ჩელსი, ინგლისი), გალ ჟივე (მონაკო), ფილიპ მექსეში (რომა, იტალია), ვილი სანიოლი (ბაიერნი, გერმანია);

**ნახევარმცველები:** ალიუ დიარა (ლანსი), ჟულიენ ფაბერი (ბორდო), ფლორენ მალუდა (ლიონი), რიო მავუბა (ბორდო), ჟერემი ტულალანი (ლიონი), პატრიკ ვიეირა (ინტერი, იტალია);

**თავდამსხმელები:** ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), ფრანკ რიბერი (მარსელი), ლუის საა (მანჩესტერი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), სილვენ ვილტორდი (ლიონი).

**კახა ზალამბერიძე**



# ჭიპმოჭრილი პრეზიდენტი

იტალიის საფეხბურთო ლიგას (და არა ფედერაციას) ახალი პრეზიდენტი ჰყავს — ანტონიო მატარეზე, რომლის გამარჯვებასაც არავინ ელოდა. მატარეზემ 39-დან 26 ხმა მიიღო, ოღონდ ეს არჩევნების ბოლო, მეექვსე ჯერზე მოხდა. ხოლო ის 39 კაცი, რომელიც მის ბედს წყვეტდა, სერია A-სა და სერია B-ს კლუბთა პრეზიდენტები იყვნენ

**მატარეზე** 66 წლის კაცია და უნდა ითქვას, რომ იტალიის ჩემპიონატების ჩატარებაში ჭიპი აქვს მოჭრილი — 1982-87 წლებში ის უკვე იყო ხსენებულ თანამდებობაზე. შემდეგ ის დიდი ხნით ლუჩანო ნიცოლამ შეცვალა.

ამის შემდეგ, მატარეზე 1996 წლამდე იტალიის ფეხბურთის ფედერაციას პრეზიდენტობდა, რასაც უეფას ვიცე პრეზიდენტობასა და ფიფას „ფეარ პლეის" კომისიის შეფობას უთავსებდა.

ახლა, მატარეზე თანამდებობაზე მანამდე დარჩება სანამ იტალიელი სფეხბურთო ჩინოვნიკები ახალ კანონს არ მიიღებენ, ხოლო მისი არჩევა დააჩქარა ფედერაციის კომისიონერმა გვიდო როსიმ, რომელსაც მოთმინების ფიალა რომ აევსო, კატეგორიულად გამოაცხადა, რომ თუ ლიგა 29 აგვისტომდე ვერ აირჩევს პრეზიდენტს, იგი მას ადმინისტრირებას დაუწესებს.

„დღეიდან ბევრი რამ შეიცვლება — განაცხადა მატარეზემ — კერძოდ კი პატარა კლუბებს დიდები ველარ შეჭამენ. გაიზრდება საერთო ურთიერთპატივისცემის ხარისხიც. რაც შეეხება ჩვენი და ფედერაციის ურთიერთობას, ის ცხადია, მჭიდრო იქნება, ოღონდ არ მომეწონა, რომ ფედერაციამ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების მიუხედავად კლუბებს მხარი მაინც არ დაუჭირა. ბოლოს და ბოლოს ეს ის კლუბებია, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონები მოამზადეს. ერთი სიტყვით, როსიმ მსოფლიოს ჩემპიონობით რომ დაიწყო კარგია, მაგრამ საქმეც ძალიან ბევრია.".

არჩევნების შედეგებით კმაყოფილთა შორის გახლდათ „პალერმოს" პრეზიდენტი მაურო ძამპარინი, რომელმაც განაცხადა:

„ჩემთვის გასაგებია, რომ მატარეზეს არჩევა მსხვილ კლუბებს არ მოეწონებოდათ, რადგან ის მარტო მათი ინტერესების სასარგებლოდ კი არა, ყველას, მათ რიცხვში მცირე კლუბების სასარგებლოდ იმოქმედებს. ის დიდი გამოცდილების ადამიანია, მე კი მწამს, რომ გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ და არ გადავაგდოთ".

შეგახსენებთ, რომ მატარეზეს წინ ლიგას ხელმძღვანელობდა ადრიანო გალიანი, „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც კალჩოპოლის სკანდალის გამო ველარ დარჩებოდა თანამდებობაზე.

**ბაჰუნა ძიდია**



# ყველაფერი ხუთ წუთში მოხდა
## არც ერთი სიტყვა ფულზე



დელა ვალე და ტონი

მსოფლიოს ჩემპიონმა, 29 წლის ლუკა ტონიმ, თავისი მომავალი გაარკვია — „ფიორენტინასგან" წასვლას აღარ ითხოვს. არადა, გასული სეზონის 34 შეხვედრაში 31 გოლის გამტანმა ფორვარდმა ერთი ხანობა ფლორენციიდან წასვლა დააპირა. ეს იმ პერიოდში მოხდა, როდესაც „იებს" კალჩოპოლის სკანდალის გამო სერია A-დან გაგდება ემუქრებოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, „ფიორენტინა" უმაღლესი ლიგიდან აღარ გააგდეს, ხოლო კლუბის ხელმძღვანელობა თავდამსხმელს ცალკეც დაელაპარაკა და ყველაფერმა ერთად შედეგი გამოიღო

**„მე შევხვდი** „ფიორენტინას" პრეზიდენტ დელა ვალეს. ჩვენ ძალიან კარგად ვისაუბრეთ, რის შემდეგაც გადავწყვიტე, ფლორენციიდან აღარსად წავიდე, შესაბამისად, ერთადერთი, რასაც ახლა ვაპირებ, გონების ფეხბურთზე მოკრება და „ფიორენტინას" მეტოქეების კარში გოლების გატანაა. მომავალ სეზონს დიდი ენთუზიაზმით ველოდები" — უთხრა ტონიმ ჟურნალისტებს.

ხოლო, სანამ ეს ამბავი საბოლოოდ გაირკვეოდა, ამბობდნენ, რომ ტონი „ინტერში" გადადიოდა, თუმცა არც ინგლისურ პრემიერლიგაში მის გადაბარგებას გამორიცხავდნენ. შეგახსენებთ, რომ ლუკა ტონიმ მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი გოლი გაიტანა.

დიეგო დელა ვალე: „ლუკას კარგად ესმის, რომ „ფიორენტინას" მომავლის განუყოფელი ნაწილია. მას მერე, რაც მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ არსად მიდის, ჩვენ ხუთ წუთში მოვაგვარეთ ყველაფერი და თან ფულზე საერთოდ არაფერი გვითქვამს. ასეთი რამ ჩვენს დროებაში იშვიათია."

და მართლაც, იშვიათია მით უფრო, ამ შემთხვევაში, რადგან სულ ახლახან, 3 აგვისტოს გაზეთები წერდნენ, რომ თავდამსხმელს „ფიორენტინადან" წასვლის შემდეგ ხელფასი, სავარაუდოდ, გაუსამმაგდება. როგორც ჩანს, სინამდვილეში ყველაფერი დელა ვალესა და „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატის შორის სხვადასხვა მიზეზთა გამო გარბენილმა შავმა კატამ განაპირობა.

**ბაჰუნა ძიდია**

# დაკარგული ბობო გამოჩნდა

**კრისტიან ვიერი**, რომელიც ორი კვირის წინ კარიერის დასრულებას აპირებდა, კვლავ ითამაშებს „სამპდორიაში". იგი ტელეფონით ესაუბრა კლუბის გენერალურ დირექტორ ბეპე მაროტას და აღუთქვა, რომ გუნდს სეზონისწინა შეკრებაზე შეუერთდება.

„ბობო" კლუბის შეფებს ორშაბათს უნდა შეხვედროდა, მაგრამ შეხვედრა გადაიდო და მათ გუშინ ისაუბრეს.

ვიერის მუხლი აწუხებს და რეაბილიტაციას სარდინიაზე გადის, ამიტომაც დაუგვიანდა გენუაში დაბრუნება.

იტალიელმა ფორვარდმა „სამპდორიასთან" ერთწლიანი კონტრაქტი 7 ივლისს გააფორმა, მას შემდეგ, რაც „მონაკოდან" წამოვიდა. ტრავმის გამო იგი „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში ვერ მოხვდა და მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა.

კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ „ბობო" გაქრა და გულგატეხილმა კარიერის დასრულებაზე დაიწყო ფიქრი, მაგრამ, ეტყობა, აზრი შეიცვალა.

მას მომავალ სეზონში „სამპდორიაში" ვიხილავთ, გუნდში, სადაც მამამისი, რობერტოც თამაშობდა. კარიერის მანძილზე კრისტიან ვიერის მოუვლია: „ტორინო", „პიზა", „რავენა", „ვენეცია", „ატალანტა", „იუვენტუსი", „ატლეტიკო", „ლაციო", „ინტერი", „მილანი" და „მონაკო".

**გიორგი დარჯანია**

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები**

**ავსტრია** (ავსტრია) 1:1 **ბენფიკა** (პორტუგალია)
0:1 ნუნუ გომეში (16), 1:1 ბლანშარი (36)

**დინამო** (ხორვატია) 0:3 **არსენალი** (ინგლისი)
0:1 ფაბრეგასი (63), 0:2 ვან პერსი (64), 0:3 ფაბრეგასი (79)



# ორმაგი ფაბრეგასი ზაგრებში

სესკ ფაბრეგასმა „არსენალის“ მწვრთნელ არსენ ვენგერს გულწრფელი სიხარულის საბაბი მისცა — ლონდონელებმა ზაგრების „დინამოს“ 3:0 მოუგეს და სამი გოლიდან ორი მათმა ესპანელმა ვარსკვლავმა გაიტანა. ამგვარად, ეშლი კოულის ფაქტობრივი წასვლის და ხოსე ანტონიო რეიესის შესაძლო ტრანსფერის მიუხედავად, ცხოვრება გრძელდება, თან, არცთუ ცუდად



**ინგლისური** კლუბისთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ მადრიდის „რეალის“ ინტერესმა 19 წლის ვარსკვლავს თავგზა არ აუბნია. ფაბრეგასმა განაცხადა, რომ ის მაინც „არსენალს“ უერთგულებს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ასაკის მიუხედავად, ზაგრებელებთან თამაში ნახევარმცველისთვის „მეთოფეთა“ მაისურით მეასე გახლდათ.

„ვცდილობ ყოველი სეზონი წინაზე უკეთესი გამომივიდეს — უთხრა ფაბრეგასმა ჟურნალისტებს მატჩის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე — ვგრძნობ, რომ შარშანდელთან შედარებით ფიზიკურად გაცილებით ძლიერი ვარ, ხოლო, როდესაც ნახევარმცველი ძლიერია, წინ წასვლასაც მოახერხებს და დაცვაში დაბრუნებასაც. ჩემი მიზანია ვითამაშო იმავე სტილით, როგორითაც გასულ სეზონში ვთამაშობდი, მაგრამ დაცვაში უფრო მტკიცედ დავდგე“.

ფაბრეგასმა ხორვატებს პირველი და მესამე გოლი გაუტანა. პირველი მან 63-ე წუთზე შეაგდო, ხოლო მესამე 79-ზე. მათ შორის კი, 65-ე წუთზე თავი რობინ ვან პერსიმ გამოიჩინა.

„ძნელი შეხვედრა იყო. ზაგრებელებმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მაგრამ მეორე ტაიმში ძალიან კარგი თამაშის წყალობით გავიმარჯვეთ“ — თქვა სესკმა.

თუმცა, რაგინდ ვაქოთ „დინამო“, ფაქტია, რომ საპასუხო შეხვედრაში, „არსენალის“ ახალ სტადიონზე, მათ სასწაული თუ გადაარჩენს გავარდნისგან.

პირველი გოლი ფაბრეგასმა ვან პერსის პასით და დაბალი დარტყმით გაიტანა, მეორე კი, როგორც მოგახსენეთ თავად ვან პერსიმ შეაგდო — ჰოლანდიელს გრძელი პასი ბელორუსმა ალექსანდრ ჰლებმა გადასცა და მანაც მახვილი კუთხიდან დაურტყა მეკარე ივან ტურინას. რაც შეეხება ლონდონელთა მესამე გოლს, ის ფაბრეგასის ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი გახლდათ.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „არსენალისთვის“ ეს გამარჯვება განსაკუთრებით სასიხარულო იმიტომ იყო, რომ არ თამაშობდნენ ტიერი ანრი და ფრედი ლიუნგბერგი. რაც შეეხება რეიესის სათადარიგოთა სკამზე დასმას, ეს ჟურნალისტებისა და ქომაგებისთვის დამატებითი მითქმა-მოთმის საბაბად იქცა — საუბარი ამ შემთხვევაშიც მადრიდის „რეალზეა“. და მაინც, რატომ გამოიწვია მითქმა-მოთქმა? იმიტომ, რომ ამ ნაბიჯით არსენ ვენგერმა რეიესს ახალი გუნდის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საშუალება დაუტოვა.

და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ამდენი გამოცდილი მოთამაშის არყოფნის მიუხედავად, „არსენალმა“ მისთვის ჩვეული პასებით მოქსოვილი ფეხბურთი ითამაშა.

„ბენფიკამ“ კი, ამასობაში, ვენის „ერნსტ ჰაპელზე“ „აუსტრიასთან“ 1:1 ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ ლისაბონელები გასულ სეზონში მეოთხედფინალამდე მივიდნენ და იქ მომავალ გამარჯვებულთან, „ბარსელონასთან“ დამარცხდნენ. ცხადია, მათ ამ სეზონშიც დიდი მიზნები აქვთ და ამთავითვე ყველაფერი საუცხოოდ დაეწყოთ: მე-16 წუთზე ნუნუ გომეშმა პაულუ ჟორჟეს ჩაკიდებულ ბურთს მშვენივრად დაჰკრა და ანგარიში გახსნა. ამ გოლმა სტაჟიან გულშემატკივარს 1987 წლის ფინალი და „პორტუში“ მოთამაშე ალჟირელი რაბაჰ მაჯერის გოლი გაახსენა.

მაგრამ ვენელები არ დანებდნენ. 36-ე წუთზე ნახევარმცველმა ანდრეას ლანსკმა საჯარიმოდან ასწია ბურთი, რომელსაც არგენტინელმა ფერნანდო ტროიანსკიმ თავით კაპიტან ჟოსელინ ბლანშარის მისამართი ასწავლა და ბლანშარმაც მეგობრის ნობათი შეირგო — დაბალი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

მეორე ნახევარში მცველმა არკადიუშ რადომსკიმ ნუნუ გომეშს კიდევ ერთი გოლი არ გაატანინა — არადა გომეშს მეკარე შაბლოშ საფარი უკვე „დამარცხებული“ ჰყავდა, ხოლო 76-ეზე მარკო ფერეირამ ხარიხას გადააცილა პაულუ ჟორჟეს დახვეწილი პასით მიღებული ბურთი.

**პაპუნა ძიდია**



# მილანმა მხრები აიჩეჩა: მე რა შუაში ვარ?

**„მილანი“** აცხადებს, ლეონარდო მეანის ახალ ისტორიასთან მე რა შუაში ვარო.

ვინ არის ეს მეანი? იგი გახლავთ „შავ-წითელთა“ ერთ-ერთი გავლენიანი დირექტორი, რომელიც ამასწინათ ჩატარებულმა ტრიბუნალმა საფეხბურთო საქმიანობიდან ხუთი თვით მოკვეთა — საქმე ეხება კალჩოპოლის ცნობილ სკანდალს და ამ საკითხში მეანი სწორედ რომ მილანთან არის კავშირში.

სხვა სიტყვებით, მეანი დაისაჯა იმიტომ, რომ საფეხბურთო მაქინაციებში მონაწილეობდა, როგორც „მილანის“ ოფიციალური პირი, „მილანის“ სასარგებლოდ, თუმცა ის, რასაც ახლა ედავებიან „მილან ან“ კავშირში აღარ არის: 2004-05 წლების სეზონში ე[illegible]ადამიანი რაღაცნაირად ყოფილა დაკავშირებული სერია B-ს გუნდების, „არეცოსა“ და „სალერნიტანას“ საეჭვო შეხვედრასთან. კერძოდ რა ჩაიდინა ლეონარდო მეანიმ, ჯერჯერობით არ გვეუბნებიან, მაგრამ ვიცით, რას ამბობს „მილანი“ — ეს ჩვენთან, როგორც კლუბთან, რა შუაშია, მეანის ცალკე დანაშაული მეანის ცალკევე აზღვევინეთო.

**პაპუნა ძიდია**

# როდის, ეშლი?



**ეშლი კოულის** „ჩელსიში“ გადასვლის გაწამაწია გრძელდება.

ჟოზე მაურინიომ თქვა, რომ „არსენალმა“ ძალიან სწრაფად უნდა გადაწყვიტოს, როგორ ყიდის თავის მცველს.

„ეს მათ ხელშია — თქვა ჟოზემ — თუ ამ ორ დღეში არაფერს გვეტყვიან, ველარ მოვიცდით და სხვა ფეხბურთელს მოვძებნით. რა ვქნათ? ჩვენ წინადადება შევთავაზეთ. თუ თანახმანი არიან, გასაჯანჯლებელი არაფერია. არა და არა. რას ვიზამ? სხვა მოთამაშეებზეც ვფიქრობთ. ჩვენ ერთი მარცხენა მცველი გვყავს და ეშლიც ამიტომ გვინდოდა.“

„არსენალი“ კი, ალბათ, კოულის გაყიდვას ფიქრობს, რადგან ის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო თამაშის განაცხადში, ზაგრების „დინამოს“ წინააღმდეგ არ დაასახელა.

**ირაკლი გამყრელიძე**



ხოსე ანტონიო რეიესი

# რეიესის რეისი: ლონდონი–მადრიდი

„**არსენალის**“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ზაგრებში „დინამოსთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში ხოსე ანტონიო რეიესი მოედანზე არ შეიყვანა, რაც იმას ნიშნავს, რომ, შესაძლოა, ესპანელი ფორვარდი მალე მადრიდის „რეალში“ გადაბარგდეს. ესპანური გრანდის ხელმძღვანელობას რეიესის შეძენა სურს, და, რა თქმა უნდა, ხოსეს ლიგის მატჩში „არსენალის“ მაისურით ნახვა არ ესიამოვნებოდათ. ამ შემთხვევაში ხომ იგი „ბერნაბეუს“ ბიჭებს წლევულს ევროტურნირებზე ველარ დაეხმარებოდა. თუმც დევიდ დინმა, „არსენალის“ პრეზიდენტმა, „რეალის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს განუცხადა, რომ ლონდონელთა მწვრთნელზე ვერანაირ ზემოქმედებას ვერ მოახდენდა. ზაგრების „დინამოსთან“ შემადგენლობა არსენ ვენგერს უნდა აერჩია და არა კლუბის ხელმძღვანელებს... ხოსე ანტონიო რეიესს თავადაც ძალიან უნდა სამეფო თეთრ ფორმაში გამოწყობა და, ალბათ, იფიქრა, თუ ზაგრებთან ვითამაშებ, „რეალთან“ კონტრაქტი ჩამეშლებაო... ამიტომაც, სალიგო მატჩის წინ, ვინძლო არსენ ვენგერს უთხრა: „ბოს, ძალიან ვნერვიულობ. მოედანზე არ შემიყვანო, სათადარიგოებში ვიქნები“...

მართლაც, „დინამოსთან“ წუთით რომ ებურთავა, მადრიდელებს მასზე გული გაუცივდებოდათ. აბა, რაში სჭირდება „რეალს“ ის თავდამსხმელი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მატჩების დროს ტრიბუნაზე ზის და ფრჩხილებს იკვნეტს? ფრანგი ვენგერიც მალე მიხვდა რეიესის გასაჭირს და დაამშვიდა, იცი, რომ ტრავმირებული გვყავს, ამიტომაც ძირითადში შენს დაყენებას ვაპირებდი, თუმცა არც ისეთი მოთამაშე მინდა, რომელიც „არსენალზე“ კი არა, „რეალზე“ ფიქრობს. მშვიდად იყავი, სათადარიგოებში იქნებიო.

ხორვატიული სამშაბათი კი, მართლაც, მღელვარე გამოდგა რეიესისთვის. მისტერ დევიდ დინმა, როგორც აღვნიშნეთ, სევილიელის საქმეზე ხელი დაიბანა — ვენგერის გადასაწყვეტია, ხოსე მოედანზე გავა თუ არაო. ვენგერმაც გადაწყვიტა — მან ფეხბურთელს გაუგო და „დინამოსთან“ ჯახი ტრაგედიად არ უქცევია. დაახლოებით ასეთი რაღაც მოხდა ეშლი კოულთან დაკავშირებით— „მეთოფეთა“ მცველი მწვრთნელმა განაცხადში არ შეიყვანა, რადგანაც ეშლი მალე „ჩელსიში“ უნდა გადაბარგდეს... ხოსე ანტონიო რეიესი კი ფაბიო კაპელოს „რეალში“ თავდასხმის მარცხენა ფლანგზე სურს. აი, რა ეწერა მადრიდული „ასის“ გუშინდელ ნომერში: „კაპელოს რეიესის შეძენა სურს და თუ ეს არ იქნება რეიესი, ის აუცილებლად... ისევ რეიესით უნდა შეიცვალოს. იტალიელს ხოსეს ყიდვა მტკიცედ გადაუწყვეტია და პრედრაგ მიატოვიჩიც მალე, ალბათ, ახალ ტრანსფერს გაახერხებს“.

მოვლენები სწრაფად ვითარდება და თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, „მეთოფეთა“ ფორვარდი ხვალ-ზეგ ჩავა „სანტიაგო ბერნაბეუზე“. „რეალი“ „არსენალს“ 15 მილიონ ევროს სთავაზობს, ინგლისელები კი 22-ს ითხოვენ. თუმცა დევიდ დინმა, ხოსეს გულით მადრიდელობის ამბავი მშვენივრად უწყის და, სავარაუდოდ, ფასსაც დაუკლებს.

**ლადო ხომერიკი**




## სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); "აისი" (ალმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844


# ბარსელონა დაინომრა

## გაჭრილი ვაშლი: ამერიკელისთვის ძამბროტა მატერაცია

„ბარსა“ ახლა ტეხასშია სეზონისწინა ტურნეში. კატალონიელი ფეხბურთელები საფეხბურთოს გარდა, სხვა საქმეების მოგვარებასაც ასწრებენ. ორშაბათს „ბარსელონას“ ლეგიონი მესის მექსიკელი რაფა მარკესის, კარლეს პუიოლის, ბრაზილიელი ჟულიანო ბელეტისა და იტალიელი ჯანლუკა ძამბროტას შემადგენლობით ჰიუსტონში, ანდერსონის ონკოლოგიურ კლინიკას ესტუმრა და კიბოთი დაავადებული ბავშვები მოინახულა

**ფეხბურთელებმა** პატარებს საჩუქრები ჩამოურიგეს. ბავშვებს ყველაზე მეტად ლეო მესი მოეწონათ და ბლომად ავტოგრაფები სთხოვეს. ძალიან ემოციური იყო მესისა და ერთ-ერთი პატარა გოგონას შეხვედრა. არგენტინელმა ავადმყოფ ბავშვს თოჯინა უსახსოვრა, ავტოგრაფიც და... თვალზე ცრემლმომდგარმა თითქმის სირბილით დატოვა კლინიკა, რათა სევდის სახლში აღარასოდეს დაბრუნებულიყო...

სხვა და, გაცილებით უფრო სახალისო ამბებიც ხდება ამერიკაში. მაგალითად, ფრანკ რაიკარდის ჰიუსტონური პრესკონფერენცია. დარბაზში ბევრი ხალხი იყო შეკრებილი, ამერიკელი, მექსიკელი და ევროპელი ჟურნალისტები. „თქვენ როგორ გგონიათ, მარკო მატერაცი რაფაელ მარკესს გუნდში ადგილს ხომ არ დააკარგვინებს?“ — დიდის ამბით შეეკითხა მავანი ამერიკელი კორესპონდენტი „ბარსელონას“ დამრიგებელს. დარბაზი, რაიკარდის ჩათვლით, გაკვირვებისგან გაირინდა და მწვრთნელმაც კარგად დიდი პაუზის შემდეგ უპასუხა ჟურნალისტებს, მატერაცისა და მარკესს შორის დიდი მანძილია და მექსიკელს შეუძლია, მშვიდად იყოსო. მერე რაიკარდი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და... „ძამბროტა შესანიშნავი ფეხბურთელია. რაფა მარკესს კი სანერვიულო არ აქვს. სეზონი საკმაოდ დიდია, ტრავმებისგან დაზღვეული არავინ არის, ამიტომაც ვყიდულობთ დაცვაში მოთამაშეებს“ — ღიმილით უთხრა ჰოლანდიელმა კაცს, რომელსაც მარკო მატერაცი და ჯანლუკა ძამბროტა ერთმანეთში აერია. კატალონიურ „სპორტში“ კი ეწერა, პრესკონფერენციაზე მყოფმა მექსიკელმა ჟურნალისტებმა ბერხავი ამერიკელი კოლეგის ნათქვამზე ბევრი იხარხარესო. რა გაეწყობა, „გრინგოები“ ევროპულ ფეხბურთში ჯერაც ვერ არიან კარგად გარკვეულნი...

ჰო, ჯანლუკა ძამბროტას ბარსელონური ნომერი ოფიციალურად გაირკვა — „მატერაცი“ 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს „კამპ ნოუზე“. მეორე ექსიუვენტუსელ ლილიან ტურამს კი 21 ნომერი ექნება. 11, ადრე „მალიორკაში“ წასულ მაქსიმილიანო გუსტავო ლოპესს ეკუთვნოდა, ხოლო 21 „ბარსადან“ ლუის ენრიკეს წასვლის შემდეგ ვაკანტური გახლდათ.

„ჩელსიდან“ სამხრეთში გადმობარგებულ ეიდურ გუდიონსენს 7-ნომრიანი მაისურა მიაკუთვნეს. შარშანდელ სეზონში „ბარსელონაში“ ამ ნომრით დიდი შვედი, ჰენრიკ ლარსონი თამაშობდა.

ძველებიდან ნომრების შეცვლა, ბასკი სანტი ესკეროს გარდა, არავის მოუსურვებია. მან 14 ნომერს 18 ამჯობინა, რაც ადრე აწ უკვე „აიაქსში“ გადაბარგებულ გაბრის ეკუთვნოდა. ამრიგად, კრუიფისეული 14 დღეს ვაკანტურია ბარსელონაში.

**ლადო ხომერიკი**





მატერაცი ძამბროტას ჰგავს?

## ინტერვიუ ძველ აფრიკელ მეომართან

# სამუელ ეტოო: ბარსელონაში ყველაფერი რკინისა უნდა იყოს, ხელიც და კვერცხებიც

შესახედავად საშუალო წონის მოკრივეს წააგავს, დაკუნთულია, სხარტი და მოქნილი, ძველი აფრიკელი მეომარივით ჯიქურ იყურება, ესპანურ გაზეთებში ხშირად აღნიშნავენ, სამუელ ეტოომ ინტერვიუს დროს თვალის მოცილება არ იცისო. მეტოქესაც პირდაპირ უყურებს და მზერას საქმესაც ახმარს — გამანადგურებელი მარჯვენა ფეხი, თავით უზუსტესი დარტყმა, ცბიერი მარცხენა...კამერუნელმა გასულ სეზონში ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ სამომავლოდ მეტის გაკეთებას აპირებს. კატალონიური „სპორტის“ ჟურნალისტი ეტოოს, ჰიუსტონის ამერიკული ფეხბურთის გუნდის მოედანზე გაესაუბრა — მოემარს საბრძოლო არენაზე შეხვდნენ...



**— მიმდინარე სეზონთაშორისს როგორ შეაფასებდით?**

— ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია, მაგრამ „ბარსელონას“ ფანების გამარჯვებით გახარების სურვილი ნებისმიერ სირთულეს მიაღვილებს.

**— „ბარსა“ ახლა ამერიკულ ტურნეშია. კლუბს სჭირდება ასეთი ტურნეები?**

— რა თქმა უნდა! მთელი მსოფლიო უნდა „დავიპყროთ“. არ მეგულება ქვეყანა, სადაც საუკეთესო გუნდს სიხარულით არ ელოდებიან.

**— ტურნეების დროს ძალიან იღლებით?**

— დიახ. თუმცა აქ სამუშაოდ ჩამოვედით, დასვენება არავის ახსოვს. დღევანდელი შრომა სამომავლოდ დაფასდება.

**— ზოგიერთი უკვე ამბობს, ეტოოს ორ მატჩში გოლი არ გაუტანიაო...**

— აბსოლუტურად არ მაინტერესებს რას იტყვიან.

**— დაძაბული ხართ?**

— არავითარ შემთხვევაში. გოლს ადრე თუ გვიან მაინც გავიტან. ამის გაკეთებას გენიოსობა არ სჭირდება — ზუსტი პასი, დროული დარტყმა და მორჩა...

**— გუდიონსენის შესახებ რას იტყვით?**

— გადასარევი ტრანსფერია „ბარსელონასთვის“.

**— ისლანდიელს თქვენს შესაძლო მეტოქედ თვლით?**

— მეტოქე მაშინ გახდება, ღმერთმა დაიფაროს და გოლების საკუთარ კარში შეგდება თუ დაიწყო... თუ კონკურენციას გულისხმობთ, გეტყვით, რომ ეს გუნდისთვის სასარგებლოა.

**— მალე ესპანეთის და ევროპის სუპერთასებზე ბრძოლა მოგიწევთ. ეს შეხვედრები პრიმერადივიზიონის წინ თქვენზე დამღლელად ხომ არ იმოქმედებს?**

— რა, ცუდია, პრიმერას თასებით ხელდამშვენებულებმა რომ მივაკითხოთ? მშვიდად იყავით, „ბარსას“ ეს ორი შეხვედრა არაქათს ვერ გამოაცლის.

**— ბარსელონელები თავს ფავორიტებად თვლით?**

— არა! თავს ყველაზე უკეთესებად თუ ჩავთვლით, შეგიძლიათ, იფიქროთ, ამათი საქმე წასულიაო. გამარჯვების მისაღწევად მოთმინებით შრომა და ბევრი წვალებაა საჭირო. მარტო შარშანდელი სეზონის მოგებისთვის ჯილდოებს ტუყილად არ გვაჩუქებენ. კარგია, როცა ფოტორეპორტიორების წინ თავს იწონებ, მაგრამ თუ თავის გამოჩენა გინდა, შენი სათქმელი მოედანზე თქვი...

**— თქვენ რა, მოედანზე სალაპარაკოდ შედიხართ?**

— კი, როგორ არა. გატანილი გოლები ლაპარაკობენ ჩემს მაგივრად.

**— „ბარსაში“ თქვენი მესამე სეზონი იწყება...**

— ამბობენ, რომ ახალ კლუბში ადაპტაციის გამო პირველი წელი ძნელია. ასევე რთულია მეორეც, რადგანაც მაშინ მიღწეულის შენარჩუნება გიწევს. ეს ორი გამოცდა წარმატებით ჩავაბარე. ახლა მესამე იწყება და გამარჯვების წყურვილიც ისეთი მაქვს, როგორც არასდროს.

**— წელს რამ შეიძლება თქვენს გუნდს ჯილდოების მოპოვებაში ხელი შეუშალოს?**

— „ბარსელონას“ პრობლემა თავად „ბარსელონაა“. თუ რომელიმე ფეხბურთელმა ჩათვალა, რომ პრიმერადივიზიონის, ჩემპიონთა ლიგის და სუპერთასის მოგება ჩვენთვის საკმარისია, მოედანზე ცუდად წაგვივა საქმე. ძველ ჯილდოებს ახლები უნდა მივუმატოთ.

**— თქვენი აზრით, 2006-07-ის სეზონი რთული იქნება?**

— მოედანზე ვინც სულს და გულს დადებს, იმისთვის რთული არაფერია და ჩვენ ამის გაკეთება შეგვიძლია.

**— ზუსტად ისეთი „რკინის კვერცხებიანები“ იქნებით, როგორც ჩემპიონთა ლიგის ფინალში „არსენალთან“ იყავით?**

— რა თქმა უნდა, ძნელ თამაშებს გუნდი ერთიანობით, ბრძოლისუნარიანობით და აგრესიულობით იგებს, მაგრამ „რკინის კვერცხები“ მთავარია, მართებულად აღნიშნეთ...

**— რანაირად ისურვებდით ისტორიის სახელმძღვანელოებში თანამედროვე „ბარსელონას“ შესვლას?**

— მინდა, რომ ასე დაწერონ: „ბიჭებმა „ბარსელონას“ დიდებისთვის ყველაფერი გააკეთეს...“ ვისურვებდი, ჩვენი თაობა გულშემატკივრებმა ძალიან დიდხანს დაიმახსოვრონ.

**— და პირადად თქვენ როგორ გინდათ ისტორიაში შესვლა?**

— როგორც ადამიანს, რომელმაც ამ კლუბისთვის სისხლის უკანასკნელი წვეთი გაიღო.

**— დამაჯერებელია...**

— მე „ბარსას“ მაისურების გასაყიდად არ შევუძენივარ, არამედ ჯილდოების მოსაგებად. ძალიან ბევრ ხალხს სჯერა ჩემი და უბრალოდ, უფლება არ მაქვს, მათ იმედი გავუცრუო.

**— „რეალმა“ კარგი ფეხბურთელები იყიდა. მწვრთნელადაც კაპელო ჰყავთ. ბოლოს და ბოლოს პრიმერაში ღირსეული მეტოქე გეყოლებათ...**

— კაპელოს ნათელი საფეხბურთო იდეები აქვს. მასთან ერთად მიმუშავია და შემიძლია, ვთქვა, რომ დისციპლინას და შრომას ეთაყვანება. არასოდეს დავივიწყებ, რომ „რეალში“ ჩემი ტრანსფერი დადებითად შეაფასა.

**— სამეფო გუნდს რკინის ხელი მართლაც სჭირდება?**

— არ ვიცი, ადრე დისციპლინასთან დაკავშირებით პრობლემები თუ ჰქონდათ, მაგრამ კაპელოსთან ანარქია ნამდვილად ვერ იბოგინებს.

**— ჩემპიონთა ლიგაზე „ჩელსი“ „ბარსას“ ყველაზე საშიში მეტოქე იქნება?**

— ეს ჯერ არავინ იცის. გასულ სეზონში კი, მე თუ მკითხავთ, ჩვენთვის ყველაზე უხერხული მეტოქე „ბენფიკა“ იყო.

**— „ბენფიკა“ იმ გუნდთა კატეგორიას მიეკუთვნება, დიდი ვარსკვლავები რომ არ ჰყავს და მაინც მშვენივრად თამაშობს...**

— შეიძლება. საერთოდ ბოლო პერიოდმა დაამტკიცა, რომ გუნდში 11 ვარსკვლავის ყოლა გამარჯვებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს.

**— მაგრამ დღევანდელი „ბარსა“ ვარსკვლავებითაა დახუნძლული და მაინც იგებს...**

— იმიტომ, რომ მოედანზე ყველა სხვა გუნდზე უფრო მეტს დავრბივართ.

**— თქვენს სამომავლო მიზნებში „ოქროს ბურთის“ მოპოვებაც შედის?**

— ინდივიდუალურ ჯილდოებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, უფრო კოლექტიური მაინტერესებს. სანამ „ბარსა“ ტიტულებს იგებს, შემიძლია მშვიდად ვიყო. კმაყოფილი დავრჩები, თუ გუნდში ჩემს სამუშაოს კარგად შევასრულებ.

**— ანუ გუნდური წარმატება პირადულს გირჩევნიათ?**

— ყოველთვის. მე იმათ კატეგორიას ვეკუთვნი, რომელთაც საკუთარი კარის გადარჩენა მეტოქისთვის გოლის გატანაზე მეტად უხარიათ.

**— კატალონიური გრანდის გამარჯვებებში ფრანკ რაიკარდს რა წვლილი მიუძღვის?**

— უზარმაზარი. უნდა ნახოთ, ძნელი მატჩების დროს ფეხბურთელებს რა საჭირო დარიგებებს აძლევს.

**— გატყობთ, „ბარსელონაში“ ყოფნით ბედნიერი ხართ...**

— ძალიან კმაყოფილი ვარ. თავს „მალიორკაშიც“ კარგად ვგრძნობდი, მაგრამ აქ სულ სხვა, დიდებული გარემოა...




# რეალური განაცხადი

**საბოლოოდ** დადგინდა, რომ „რეალში“ კანავაროს 5 ნომერი, ზიდანისეული მაისურა ერგო, ემერსონს — 20 და ვან ნისტელროის — 17.

მას შემდეგ, რაც გუნდმა მზადება დაიწყო, „რეალში“ ნომრების საქმე რამდენჯერმე შეიცვალა. „ბერნაბეუდან“ არბელოა, სოლდადო და პორტილიო წავიდნენ. ასევე ჩემოდნებზე სხედან ის ფეხბურთელები, რომელთაც ფაბიო კაპელო მოწყალე თვალით არ უყურებს — დიოგო, გრავესენი, ბორხა და რუბენი. დონ ფაბიომაც გუშინ იმ რეალელთა ნომრები დაადგინა, რომლებიც აშშ-ის ტურნეებში მიიღებენ მონაწილეობას.

სიაში არ არიან ტრავმირებულები: ალვარო მეხია (24), ხოსე მარია გუტიერესი (14) და რონალდო (9).

| | |
|---|---|
| 1 | იკერ კასილიასი |
| 2 | მიჩელ სალგადო |
| 3 | რობერტო კარლოსი |
| 4 | სერხიო რამოსი |
| 5 | ფაბიო კანავარო |
| 6 | ივან ელგერა |
| 7 | რაული |
| 8. | ჟულიო ბაპტისტა |
| 10 | რობინიო |
| 11 | სისინიო |
| 12 | პაბლო გარსია |
| 13 | დიეგო ლოპესი |
| 15 | რაულ ბრავო |
| 17 | რუუდ ვან ნისტელროი |
| 18 | ანტონიო კასანო |
| 19 | ჯონათან ვუდგეიტი |
| 20 | ემერსონი |
| 22 | პაკო პავონი |
| 23 | დევიდ ბექემი |
| 25 | ადანი |
| 26 | ხავი გარსია |
| 28 | რუბენ დე ლა რედი |
| 30 | ხუანფრან ტორესი |
| 31 | ხავიერ ბალბოა |

# კიკერის ცნობილდები

# გერმანია: კლინსი, მირო და პრინცი! უკეთესი მე არ ვიცი



ცნობილმა ჟურნალმა „კიკერმა" გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად მიროსლავ კლოზე დაასახელა.

მოგეხსენებათ, ბრემენის „ვერდერის" 25 წლის თავდამსხმელი მსოფლიოს ჩემპიონატზე ბომბარდირი გახდა, ხოლო ბუნდესლიგაში სეზონი 25 გოლით დაასრულა. „კიკერის" ჩატარებულ გამოკითხვაში კლოზემ 532 ხმა მიიღო, მეორეზე 82 ქულით გავიდა „არსენალის" მეკარე იენს ლემანი, ხოლო მესამეზე 58 ქულიანი ფილიპ ლამია.

მწვრთნელთა შორის პირველი, რა გასაკვირია, რომ იურგენ კლინსმანი გახდა. გერმანიის ნაკრების გადამდგარმა თავკაცმა 392 ხმა მიიღო და მნიშვნელოვნად გაუსწრო 98 ქულიან ჰამბურგელ თომას დოლს, რომელმაც თავის მხრივ ოთხი ქულით გაუსწრო იურგენ კლოპს, „მაინცის" მწვრთნელს. როგორც ხედავთ, „ბაიერნის" თავკაცი ფელიქს მაგათი სამეულში ვერ შევიდა.

ქალებს შორის კი ყველაფერი მარტივად მოგვარდა — რეფერენდუმში გაიმარჯვა ბრიგიტ პრინცმა, რომელმაც წინა ხუთ წელიწადსაც იგივე გააკეთა. პრინცმა გერმანიის ნაკრებში მალე 150-ე შეხვედრა უნდა ჩაატაროს.

# გამოკითხვა სკამებში

## არგენტინაში ვარსკვლავებს ითვლიან



ლეო მესი

**ალფიო ბაზილეს** ნაკრებში არგენტინელ გულშემატკივრებს ყველაზე მეტად ლეო მესი, კარლოს ტევესი და სერხიო აგერო მოსწონთ. იქაურმა „ოლემ" გამოკითხვა მოაწყო და აღმოჩნდა, რომ ხალხს სხვებზე უფრო „ბარსელონას" „კორინთიანსისა"და მადრიდის „ატლეტიკოს" ვარსკვლავების იმედი აქვს.

„ოლეს" ჟურნალისტებმა პატაგონიელი ფანები სტადიონზე „დაკითხეს" — ჟურნალისტებმა იმათი აზრი გაიგეს, ვინც აპერტურას პირველი ტურის დროს საყვარელ გუნდებს მოედანზე ქომაგობდა.

192 გამოკითხული ინჩასიდან 77-მა უპირატესობა მესის მიანიჭა, 66-მა — ტევესს, ხოლო აგეროს 49 ხმა ერგო.

გარდა ამისა, გულშემატკივრები ქვეყნის იდეალური ნაკრების წევრებად „ბოკა ხუნიორსის" როდრიგო პალასიოს, უგო იბარას და ფერნანდო გაგოს, აგრეთვე, „ინდეპენდიენტის" გოლკიპერ ოსკარ უსტარის ასახელებენ.

სენიორ ბაზილე „ალბისელესტეს" თავკაცად ხოსე პეკერმანის გადადგომის შემდეგ დაბრუნდა. ადრე იგი 1991-დან 1994 წლამდე მწვრთნელობდა არგენტინას. ბაზილეს ნაკრები პირველ ამხანაგურ შეხვედრას ლონდონში, ბრაზილიელებთან ჩაატარებს.

**ლადო ხომერიკი**

# ამხანაგური მატჩები

ატრომიტოსი (საბერძნეთი) 3:1 ირაკლისი (საბერძნეთი)
ჰანოვერი (გერმანია) 0:2 ოფი (საბერძნეთი)
იორგრიტე (შვედეთი) 1:2 რედინგი (ინგლისი)
დენ ჰააგი (ჰოლანდია) 2:2 შეფილდი (ინგლისი)
ბეერსხოტი (ბელგია) 1:2 ჩარლტონი (ინგლისი)
ნაიმეგენი (ჰოლანდია) 2:1 ასტონ ვილა (ინგლისი)
აბერდინი (შოტლანდია) 2:3 ევერტონი (ინგლისი)
ხერესი (ესპანეთი) 1:1 ბეტისი (ესპანეთი)
უელვა (ესპანეთი) 3:2 ბოლტონი (ინგლისი)
ირანი 1:0 საამიროები

# კარლიტოს გზა



**„კორინთიანსის"** პატრონმა კია ჯურაბჩიანმა თქვა, არგენტინელი კარლოს ტევესი კლუბის დატოვებას აპირებსო. „კარლიტოს გუნდიდან წასვლა ადრეც უნდოდა. მაშინ მისი გადარწმუნება შევძელი, თუმცა ახლა ვერაფერს ვუხერხებ" — განაცხადა პატრონმა „რადიო ბანდეირანტესთან" ინტერვიუში.

კარლიტოს ბრაზილიურ კლუბზე მართლაც გული აუცრუვდა და „კორინთიანსიც" მალე, ალბათ, თავის ყველაზე სახელგანთქმულ ფეხბურთელს დაკარგავს. ტევესმა კლუბიდან წასვლის შესახებ ღიად პირველად 22 ივლისს განაცხადა, როცა „ფორტალეზასთან" 3:3 შემდეგ არგენტინელის მანქანას თავს რამდენიმე მთვრალი ფანი დაესხა. მანქანაში კარლიტოს მეუღლე ვანესა, მათი შვილი ფლორენსია და ტევესის აგენტი ადრიან რუოკო იმყოფებოდნენ. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, საკმაოდ გაღიზიანებულმა პატაგონიელმა კი თქვა, თუ „კორიანთიანსში" არ მაფასებენ, ახალ კლუბს მოვძებნიო.

**ლადო ხომერიკი**

# ჟონატასი, გრძელი პასი: ფლამენგოდან მონჟუიკზე



**კატალონიურმა** „ესპანიოლმა" ბრაზილიელი ჟონატასი იყიდა, „ფლამენგოს" ნახევარმცველი. ბრაზილიურმა კლუბმა მის სანაცვლოდ 2,6 მილიონი დოლარი მიიღო.

ჟონატასი ბრაზილიის ნაკრების წევრია და 16 აგვისტოს ნორვეგიასთან ამხანაგურ მატჩში მიიღებს მონაწილეობას. შემდეგ იგი ბარსელონაში ჩავა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტზე ხელს მოაწერს. „მარკას" ცნობით, ოკეანისგალმელი „მონჟუიკზე" მომავალი სამი სეზონის განმავლობაში დარჩება. ასევე ცნობილია ისიც, რომ ჟონატასთან კონტრაქტის გაწყვეტა 8 მილიონი დოლარი ელირება.

„მჯერა, რომ „ესპანიოლში" წარმატებას მივაღწევ. ესპანური პრიმერადივიზიონი მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული საკლუბო ჩემპიონატია, სადაც ყოველთვის მინდოდა თამაში" — განაცხადა ჟონატასმა.

**ლადო ხომერიკი**

# ბედზე გამარჯვება




... „სანტა კრუზის“ ძირითადში ჩემს გამოჩენას მედია სიხარულით არ შეხვედრია. რა უნდა რივალდოს ძირითადში, ასეთი სუსტი მოთამაშე კლუბს წარმატებას ვერ მოუტანსო, ამტკიცებდნენ კრიტიკოსები. ხანდახან კი დაუფარავად მლანძღავდნენ. რომელიღაც გაზეთში ეწერა, „სანტა კრუზის“ თავდასხმაში რივალდოზე უარესად მარტო კოჭლი თუ ითამაშებსო...

რადიოს მოსმენა ხომ საერთოდ აღარ შემეძლო. ერთხელაც, მძაგებლებზე გაბრაზებულმა, რადიოს ხელი ვტაცე და დედაჩემი რომ არა, კედელზე მივაფშვნიდი... ახლა ვხვდები, ახალგაზრდა მოთამაშე საზოგადოებრივ არხზე ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული — თუ რადიოს არ მოსცილდი და სულ კრიტიკოსების გესლიანი შენიშვნები ისმინე, ჭკუიდან შეიშლები. მამაჩემმა რომილდომ მასწავლა, რომ მიზნის მისაღწევად დაბრკოლებების გადალახვა იყო საჭირო. დღესაც ამ პრინციპით ვცხოვრობ.

სხვა ჩემს ადგილზე ცხვირს ჩამოუშვებდა, მაგრამ ჩემი ხასიათი დამეხმარა. მოთმინება და მიტევება ფარად ვაქციე, რომელიც კრიტიკოსების გესლიანი ისრებისგან მიფარავდა. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ბედი მეც გამიღიმებდა. უფრო და უფრო მომთმენი გავხდი.

ამ ჟურნალისტებს კი ვერაფერს გაუგებს კაცი. „სანტა კრუზში“ ჩემი კარიერის პირველი ეტაპისას პრესას გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელების სიმრავლე აბრაზებდა — შემადგენლობა პირტიტველა ბარტყებით გაავსეს მაშინ, როცა სან პაულუს და რიო დე ჟანეიროს შტატების კლუბებიდან გამოცდილი ფეხბურთელების იაფად ყიდვა შეუძლიათო. „ბარსელონაში“ კი პირიქით იყო, იქაური მედია დღედალამ გაჰყვიროდა უცხოელმა ვარსკვლავებმა შეგვჭამეს და „ბარსას“ ახალგაზრდული სკოლის წარმომადგენლები დაგვეჩაგრნენო...

ორივე შემთხვევაში განტევების ვაცი მე ვიყავი. „სანტა კრუზში“ გოლებს კი არ მითვლიდნენ, არამედ იმას, თუ რამდენი საგოლე ეპიზოდი გავაცუდე. კრიტიკოსებს ერთი სული ჰქონდათ, სანამ გულს მატკენდნენ. ერთმა ისიც კი თქვა, რივალდოს რა მახინჯი და ოღროჩოღრო კბილები აქვსო... იქნებ ვინმემ ამიხსნას, კბილებს ფეხბურთთან რა კავშირი აქვთ?!

## სოფლელების სამეული

ბოლოს და ბოლოს „სანტა კრუზში“ ჩემი წვალება დასრულდა და უფრო მაღალი კატეგორიის გუნდში, „მოჯი მირიმში“ გადავედი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „ხისფეხა“ და „უკბილო“ რივალდო მაინც კარგი ფეხბურთელი აღმოჩნდა. ახალი კლუბი სან პაულუში იყო, სადაც საცხოვრებლად გადასვლა მომიწია. დედას, ძმებს, დას ცხოვრებაში პირველად დიდი ხნით უნდა დავშორებულიყავი და მარტოობას უნდა შევჩვეოდი.

აქაც შემთხვევით მოხდა ყველაფერი. „მოჯი მირიმს“ ფორვარდი დასჭირდა, „სანტა კრუზმა“ კი ჩემს სანაცვლოდ მცველი მიიღო. ახალმა პატრონებმა მალე აღიარეს, რივალდოს სახით კარგი ფეხბურთელი შევიძინეთო.

სან პაულუს გუნდში „სანტა კრუზში“ თამაშის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ გადავედი. ვიდრე ახალ კლუბს მივაკითხავდი, ჰაერში ვიყავი გამოკიდებული, „სანტა კრუზის“ უფროსობა ხან მაძლევდა ნებას პროფესიულ გუნდში მეთამაშა, ხან კი არა... მახსოვს, იმ დროს ერთ-ერთი ტურნირი ჩაატარეს, სადაც ბრაზილიური გრანდები, „პალმეირასი“, „გრემიო“ და „ბოტაფოგოც“ მონაწილეობდნენ. მაშინ ძირითადში ვიყავი და თავიც არ შემირცხვენია.

ერთი სიტყვით, გადავედი „მოჯი მირიმში“. კრიტიკოსებიც, რა თქმა უნდა, თან გამომყვნენ — სან პაულუში ჩემდამი მტრულად განწყობილი ჟურნალისტების ახალი არმია აღმოვაჩინე. მათ ლანძღვაზე ორიგინალური პასუხი მქონდა მომზადებული — მოედანზე თითქმის ყველა მატჩში კარგად ვთამაშობდი... ხელფასი „სანტა კრუზის“ პერიოდთან შედარებით მაღალი იყო, თუმცა არა იმდენი, თავიდან რომ შემპირდნენ. ოჯახის მწირი სალარო თავისას ითხოვდა და მეც თხოვნით შევედი კლუბის პრეზიდენტთან. ან ის აიღე, რასაც გაძლევთ ან საერთოდ წადიო — სენიორ თავკაცმა მითხრა... გაივლის აქედან რამდენიმე წელიწადი და „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხოსეპ ლუის ნუნიესიც იგივეს გამიმეორებს... რა მექნა, დავრწმუნდი „მოჯი მირიმში“ მილიონებს რომ არ მომცემდნენ და გავჩერდი. დაგროვილი თანხით კი მშობლიურ რესიფეში ბინა ვიყიდე, რომელიც დღემდე არ გამიყიდია. ძველი, „კეთილი“ დროის სამახსოვროდ ვინახავ“...

კიდევ ის მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის, ჩრდილოელისთვის, ბრაზილიის სამხრეთში ცხოვრება ძალიან ძნელი გამოდგა. სანპაულოელები პროვინციელებს იგნორირებას გვიკეთებდნენ. ზუსტად ამგვარი განწყობაა ბრაზილიის ნაკრებში, თუმცა ეროვნულ გუნდზე შემდეგ თავებში მოგითხრობთ. ყველაფერზე დაგვცინოდნენ, ჩრდილოურ აქცენტზე, ქცევის მანერაზე, ჩაცმულობაზე, რომელიც ხშირად ბრაზილიის სამხრეთის ჰავას არ შეესაბამებოდა. „მოჯი მერიმში“ ერთბაშად სამი ჩრდილოელი მივედით, მე, ვალბერი და ლეტო. სანპაულოელებმაც უმალ შეგვარქვეს „ტრიო კაიპირა“, რაც მათ ჟარგონზე „სოფლელების ტრიოს“ ნიშნავს...

მაგრამ დიდ ქალაქში ჩემი ცხოვრება მარტო უსიამოვნება არ ყოფილა. გავიცანი მშვენიერი გოგონა როზი, რომელიც დღეს ჩემი მეუღლეა... ჩვენს პაემნებს მარტო ვარჯიშები და თამაშები წყვეტდნენ. თითქმის ყოველდღე 8 საათზე ავტობუსით როზისთან შესახვედრად მივდიოდი, რათა თერთმეტის ნახევარზე კლუბში დავბრუნებულიყავი. ხანი რომ გავიდა და კრიტიკოსების გულის გასახეთქად გოლებიც ბლომად შევყარე, კლუბმა მანქანაც მიყიდა. შვილივით ვუვლიდი ამ მანქანას, ვრეცხავდი, ვაპრიალებდი, მაგრამ ავტოფარეხიდან არ გამომყავდა — ტარება არ ვიცოდი, მართვის უფლებაც არ მქონდა და ისევ ავტობუსით დავრბოდი როზისთან... ახლა გადასარევი მანქანები მყავს, მაგრამ სისუფთავით ჩემ პირველ ავტოს ვერ შეედრებიან — უქმად გაჩერებულს მტვრის ნაწილაკსაც ვერ უპოვიდით.

## იჯარით ცხოვრება

ნელ-ნელა სან პაულუში რივალდოს ყოფნამ ნორმალური ხასიათი მიიღო. „მოჯი მირიმში“ თამაშით თავს ვიკლავდი და კრიტიკოსებიც ჩაჩუმდნენ. ჩემი შეძენით კი ძლიერი კლუბები, „კორინთიანსი“, „პალმეირასი“ და „სანტოსი“ დაინტერესდნენ. „მოჯისაც“ თავზე სატრანსფერო შემოთავაზებების სეტყვა დაატყდა. გუნდმაც ველარ გაუძლო და იჯარით გამასხვისა „კორინთიანსში“. იცით, გვერდს ვინ მიმშვენებდა? ორი ჩემი „სოფლელი“ ამხანაგი, თავიდან სან პაულოში სასაცილო აქცენტის გამო მიწასთან რომ გაგვასწორეს. ახლა კი სამივენი ბრაზილიის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ვიწყებდით თამაშს...



**გაგრძელება იქნება**

## ინგლისი

ჩემპიონატი. II ტური

ლესტერი 0:1 ბარნლი
ჰალი 2:3 ბარნსლი
ნორვიჩი 2:0 პრესტონი
კარდიფი 1:1 ვესტ ბრომვიჩი
უენსდი 0:1 ლუტონი
სტოკი 2:0 დერბი
კოლჩესტერი 0:1 პლიმუთი
ვულვზი 1:0 იფსვიჩი
ქუინზ პარკი 2:2 ლიდსი
კრ. პალასი 3:1 საუთენდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრ. პალასი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ბარნლი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ლუთონი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლიდსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კარდიფი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვულვზი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პლიმუთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ნორვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბირმინგემი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სტოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ქოვენთრი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბარნსლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| საუთენდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| საუთჰემპტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| უენსდი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| დერბი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ქუინზ პარკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პრესტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| სანდერლენდი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| იფსვიჩი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| კოლჩესტერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ჰალი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ლესტერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. III ტური

ისტრი 2:2 დიჟონი
აიაჩო 3:1 ამიენი
ლე ავრი 3:0 ტურსი
გრენობლი 1:0 გენგამი
კაენი 1:0 ბრესტი
გენიონი 0:1 ნიორი
კრეტეი 1:3 შატორუ
სტრასბური 2:0 მონპელიე
რეიმსი 2:0 მეცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაენი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| შატორუ | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| ბასტია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ნიორი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| რეიმსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| მეცი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| გრენობლი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ამიენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| აიაჩო | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ლე ავრი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| სტრასბური | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| გენიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| გენგამი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| დიჟონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| კრეტეი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ისტრი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| ლიბურნი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |
| ბრესტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ტურსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| მონპელიე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

## შვედეთი

ალსვენსკა. XIII ტური

ელფსბორგი 4:2 მალმიო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 13 | 9 | 2 | 2 | 25:14 | 29 |
| ელფსბორგი | 13 | 7 | 5 | 1 | 24:12 | 26 |
| აიკ | 13 | 7 | 4 | 2 | 23:13 | 25 |
| გიოტებორგი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:12 | 25 |
| იურგორდენი | 13 | 6 | 5 | 2 | 17:11 | 23 |
| მალმიო | 13 | 6 | 3 | 4 | 21:17 | 21 |
| კალმარი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:14 | 17 |
| გაის | 13 | 4 | 4 | 5 | 13:17 | 16 |
| გეფლე | 13 | 4 | 3 | 6 | 13:21 | 15 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:19 | 14 |
| ჰალმსტადი | 13 | 2 | 5 | 6 | 8:15 | 11 |
| ჰეკენი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:20 | 10 |
| იოსტერსი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:24 | 9 |
| იორგრიტე | 13 | 0 | 5 | 8 | 11:23 | 5 |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი კონფერენსი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 72 | ალდერშოტი-გრეივსენდი | 1.75 | 3.30 | 3.65 | 1.14 | 1.18 | 1.73 |
| 18:00 | 73 | ალტრინჰემი-სტივენეიჯი | 2.70 | 3.30 | 2.15 | 1.48 | 1.19 | 1.30 |
| 18:00 | 74 | კემბრიჯი-ნორთვიჩი | 1.85 | 3.20 | 3.45 | 1.17 | 1.20 | 1.66 |
| 18:00 | 75 | ქროული-რაშდენი | 2.85 | 3.30 | 2.05 | 1.52 | 1.19 | 1.26 |
| 18:00 | 76 | ფორესტ გრინი-დაგ ენდ რედი | 2.25 | 3.20 | 2.60 | 1.32 | 1.20 | 1.43 |
| 18:00 | 77 | გრეისი-სტენფორდ რეინჯერსი | 1.55 | 3.40 | 4.90 | 1.06 | 1.17 | 2.00 |
| 18:00 | 79 | მორიკომბი-ბარტონი | 1.80 | 3.30 | 3.55 | 1.16 | 1.19 | 1.71 |
| 18:00 | 80 | ოქსფორდი-ჰალიფაქსი | 1.85 | 3.30 | 3.35 | 1.18 | 1.19 | 1.66 |
| 18:00 | 81 | საუთპორტი-უოკინგი | 2.30 | 3.20 | 2.55 | 1.33 | 1.20 | 1.41 |
| 18:00 | 82 | ტემუორთი-ვეიმუტი | 2.35 | 3.20 | 2.50 | 1.35 | 1.21 | 1.40 |
| 18:00 | 83 | იორკი-ექსეტერი | 2.15 | 3.30 | 2.70 | 1.30 | 1.19 | 1.48 |
| 18:00 | 748 | კიდერმინსტერი-სტ.ალბანსი | 1.90 | 3.10 | 3.25 | 1.17 | 1.19 | 1.58 |
| | | **შოტლანდია პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 84 | სელტიკი-სტ.მირენი | 1.10 | 5.90 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 3.95 |
| 18:00 | 85 | ჰართსი-ფოლკირკი | 1.20 | 4.90 | 8.00 | 1.00 | 1.04 | 3.03 |
| 18:00 | 86 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 87 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1.70 | 3.20 | 4.40 | 1.11 | 1.22 | 1.85 |
| 18:00 | 88 | მოზერუელი-აბერდინი | 2.40 | 3.00 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.40 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 89 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 8.00 | 4.70 | 1.25 | 2.96 | 1.08 | 1.00 |
| | | **შოტლანდია I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 91 | ჰამილტონი-დანდი | 2.20 | 3.50 | 2.55 | 1.35 | 1.18 | 1.47 |
| 18:00 | 92 | პარტიკი-ერდრი | 1.70 | 3.60 | 3.70 | 1.15 | 1.16 | 1.82 |
| 18:00 | 93 | ქუინი-სტ.ჯონსტონი | 3.40 | 3.35 | 1.85 | 1.68 | 1.19 | 1.19 |
| 18:00 | 94 | როსი-ლივინგსტონი | 2.40 | 3.40 | 2.35 | 1.40 | 1.18 | 1.38 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 90 | კლაიდი-გრეტნა | 4.10 | 3.40 | 1.70 | 1.85 | 1.20 | 1.13 |
| | | **შოტლანდია II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 95 | ალოა-პიტერჰედი | 3.30 | 3.35 | 1.90 | 1.66 | 1.20 | 1.21 |
| 18:00 | 96 | ეარი-კოუდენბითი | 2.40 | 3.40 | 2.40 | 1.40 | 1.20 | 1.40 |
| 18:00 | 97 | ბრეჩინი-სტირლინგი | 1.70 | 3.60 | 3.80 | 1.15 | 1.17 | 1.84 |
| 18:00 | 98 | რეითი-ფორფარი | 2.00 | 3.50 | 2.75 | 1.27 | 1.15 | 1.53 |
| 18:00 | 99 | სტრანრარი-მორტონი | 2.70 | 3.40 | 2.10 | 1.50 | 1.18 | 1.29 |
| | | **შოტლანდია III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 100 | ალბიონი-ისტ ფაიფი | 2.60 | 3.50 | 2.15 | 1.49 | 1.17 | 1.33 |
| 18:00 | 101 | არბროთი-ბერიკი | 1.95 | 3.45 | 3.10 | 1.24 | 1.19 | 1.63 |
| 18:00 | 102 | დამბარტონი-ისტ სტირლინგი | 1.30 | 4.30 | 7.90 | 1.00 | 1.11 | 2.78 |
| 18:00 | 103 | ელგინი-ქუინზ პარკი | 2.20 | 3.50 | 2.55 | 1.35 | 1.18 | 1.47 |
| 18:00 | 104 | სტენჰაუსმური-მონტროუზი | 1.50 | 3.75 | 4.65 | 1.07 | 1.13 | 2.07 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 105 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.50 | 3.65 | 5.25 | 1.06 | 1.16 | 2.15 |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 17:30 | 106 | ჰამბურგი-არმინია | 1.30 | 4.20 | 7.25 | 1.00 | 1.10 | 2.65 |
| 17:30 | 107 | ლევერკუზენი-ალემანია | 1.45 | 3.80 | 5.75 | 1.04 | 1.15 | 2.28 |
| 17:30 | 108 | მაინცი-ბოხუმი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 17:30 | 109 | მიონხენგლადბახი-კოტბუსი | 1.55 | 3.30 | 5.00 | 1.05 | 1.18 | 1.98 |
| 17:30 | 110 | შალკე-აინტრახტი | 1.40 | 3.90 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.36 |
| 17:30 | 111 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 112 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 19:00 | 113 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| | | **გერმანია II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **11 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 114 | კაიზერსლაუტერნი-ესენი | 1.45 | 3.70 | 5.00 | 1.04 | 1.12 | 2.12 |
| 20:00 | 115 | ოფენბახი-კარლ ცაისი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 20:00 | 116 | ბურგჰაუზენი-კარლსრუე | 2.40 | 3.10 | 2.50 | 1.35 | 1.22 | 1.38 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 16:00 | 117 | დუისბურგი-კობლენცი | 1.45 | 3.70 | 5.00 | 1.04 | 1.12 | 2.12 |
| 16:00 | 118 | ფრაიბურგი-ჰანზა | 1.75 | 3.10 | 4.20 | 1.11 | 1.23 | 1.78 |
| 16:00 | 119 | ფიურტი-მიუნხენი 1860 | 2.20 | 3.15 | 2.80 | 1.29 | 1.23 | 1.48 |
| 16:00 | 120 | ბრაუნშვაიგი-პადერბორნი | 2.00 | 3.15 | 3.25 | 1.22 | 1.23 | 1.59 |
| 16:00 | 121 | აუე-უნტერჰახინგი | 1.70 | 3.30 | 4.15 | 1.12 | 1.20 | 1.83 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 22:15 | 122 | აუგსბურგი-კიოლნი | 2.75 | 3.25 | 2.20 | 1.48 | 1.22 | 1.31 |
| | | **ავსტრია ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 159 | ალტახი-შტურმი | 2.35 | 3.10 | 2.55 | 1.33 | 1.22 | 1.39 |
| 21:30 | 160 | აუსტრია-რაპიდი | 1.90 | 3.15 | 3.50 | 1.18 | 1.23 | 1.65 |
| 21:30 | 161 | გრაცერი-ტიროლი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| 21:30 | 163 | პაშინგი-ზალცბურგი | 3.40 | 3.20 | 1.90 | 1.64 | 1.21 | 1.19 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 162 | მატერსბურგი-რიდი | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| | | **შვეიცარია სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 19:45 | 170 | შაფჰაუზენი-აარაუ | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 19:45 | 171 | სტ.გალენი-ციურიხი | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 172 | ბაზელი-თუნი | 1.45 | 3.60 | 5.90 | 1.03 | 1.16 | 2.23 |
| 18:00 | 173 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 1.35 | 3.90 | 6.90 | 1.00 | 1.12 | 2.49 |
| 18:00 | 174 | იანგ ბოიზი-სიონი | 1.85 | 3.10 | 3.65 | 1.15 | 1.22 | 1.67 |
| | | **საფრანგეთი I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 19:15 | 184 | ლორიანი-ბორდო | 3.30 | 2.80 | 2.15 | 1.51 | 1.30 | 1.21 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 185 | ლიონი-ტულუზი | 1.25 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 2.95 |
| 22:00 | 186 | მონაკო-სტ.ეტიენი | 1.80 | 2.90 | 4.40 | 1.11 | 1.27 | 1.74 |
| 22:00 | 187 | ნანსი-სედანი | 1.90 | 2.80 | 4.00 | 1.13 | 1.28 | 1.64 |
| 22:00 | 188 | ნიცა-ნანტი | 2.10 | 2.75 | 3.50 | 1.19 | 1.31 | 1.53 |
| 22:00 | 189 | სოშო-ოსერი | 2.30 | 2.75 | 3.00 | 1.25 | 1.30 | 1.43 |
| 22:00 | 190 | ტრუა-ლე მანი | 2.30 | 2.75 | 3.00 | 1.25 | 1.30 | 1.43 |
| 22:00 | 191 | ვალენსიენსი-პსჟ | 3.20 | 2.75 | 2.20 | 1.47 | 1.30 | 1.22 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 192 | ლილი-ლანსი | 2.10 | 2.80 | 3.40 | 1.20 | 1.29 | 1.53 |
| 23:00 | 193 | მარსელი-რენი | 1.80 | 3.00 | 4.40 | 1.12 | 1.27 | 1.78 |
| | | **დანია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **12 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 252 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 250 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.35 | 4.00 | 7.60 | 1.00 | 1.14 | 2.62 |
| 17:00 | 251 | ჰორსენსი-ესბიერგი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 17:00 | 253 | ნორდსიელანდი-ვეილე | 1.30 | 4.40 | 7.90 | 1.00 | 1.11 | 2.82 |
| 17:00 | 254 | რანდერსი-ბრიონდბიუ | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |
| 17:00 | 255 | ვიბორგი-სილკებორგი | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **13 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 265 | ჰამარი-ტრომსიო | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| 20:00 | 266 | სანდეფიორდი-ოდ გრენლანდი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 20:00 | 267 | სტაბეკი-ლინი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 268 | სტარტი-ვიკინგი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| 20:00 | 269 | ვოლერენგა-ბრანი | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 22:00 | 270 | მოლდე-რუსენბორგი | 3.20 | 3.10 | 2.00 | 1.57 | 1.23 | 1.21 |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 271 | ლილესტრიომი-ფრედრიკსტადი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 299 | ინტერი-ტურკუ | 3.70 | 3.15 | 1.90 | 1.70 | 1.25 | [illegible] |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **10 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 365 | აპოელი ნ-ტრაბზონი | 3.20 | 3.20 | 1.95 | 1.60 | 1.21 | 1.21 |
| 22:00 | 366 | ბაზელი-ვადუცი | 1.17 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.04 | 3.33 |
| 20:00 | 367 | ბნეი იეჰუდა-ლოკომოტივი(ბულ) | 3.60 | 3.20 | 1.80 | 1.69 | 1.20 | 1.15 |
| 19:00 | 368 | ჩერნომორეცი-პლოცკი | 1.70 | 3.25 | 3.80 | 1.11 | 1.17 | 1.75 |
| 20:30 | 369 | ცსკა(ბულ)-ჰაიდუკი | 1.33 | 4.25 | 7.00 | 1.01 | 1.11 | 2.64 |
| 22:00 | 370 | დინამო(ბქ)-ბეიტარ ჯ. | 1.25 | 4.50 | 7.60 | 1.00 | 1.07 | 2.82 |
| 21:00 | 371 | აპოელი-დომჟალე | 1.80 | 3.20 | 3.10 | 1.15 | 1.13 | 1.57 |
| 19:00 | 372 | კარვანი-სლავია | 4.80 | 3.40 | 1.55 | 1.99 | 1.17 | 1.06 |
| 21:00 | 373 | რანდერსი-კაუნასი | 1.83 | 3.20 | 3.65 | 1.16 | 1.21 | 1.70 |
| 21:30 | 375 | იანგ ბოიზი-მარსელი | 2.70 | 2.90 | 2.20 | 1.39 | 1.21 | 1.25 |
| 22:45 | 376 | მატერსბურგი-ვისლა | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 22:00 | 380 | პარტიზანი-მარიბორი | 1.40 | 3.80 | 5.90 | 1.02 | 1.13 | 2.31 |
| 20:00 | 381 | პეტრჟალკა-დინამო(მინსკი) | 1.55 | 3.30 | 4.70 | 1.05 | 1.16 | 1.93 |
| 20:00 | 382 | რიდი-სიონი | 2.00 | 3.00 | 3.10 | 1.20 | 1.21 | 1.52 |
| 19:00 | 384 | რუბინი-ბატე | 1.20 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.04 | 2.75 |
| 22:00 | 385 | სარაიევო-რაპიდი(ბ) | 3.60 | 3.10 | 1.72 | 1.66 | 1.16 | 1.10 |
| 21:00 | 386 | სტარტი -დროგედა | 1.35 | 3.75 | 6.50 | 1.00 | 1.11 | 2.37 |
| 21:30 | 387 | ტვენტე-ლევადია | 1.22 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.05 | 2.75 |
| 22:00 | 388 | ვიდეოტონი-გრასჰოპერი | 2.80 | 3.10 | 2.00 | 1.47 | 1.16 | 1.21 |
| 21:00 | 389 | ზიმბრუ-მეტალურგი(ზ) | 2.60 | 2.90 | 2:20 | 1.37 | 1.19 | 1.25 |
| 22:00 | 784 | სუდოვა-ბრიუგე | 6.00 | 3.75 | 1.40 | 2.30 | 1.13 | 1.01 |
| 22:00 | 785 | ფლორა-ბრიონდბიუ | 4.80 | 3.50 | 1.50 | 2.02 | 1.14 | 1.04 |
| 21:00 | 786 | ბრანი-ატვიდაბერგი | 1.25 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.94 |
| 21:00 | 787 | მოლდე-სკონტო | 1.60 | 3.30 | 4.50 | 1.07 | 1.18 | 1.90 |
| 21:50 | 788 | ვენტსპილსი-ნიუკასლი | 5.40 | 3.80 | 1.35 | 2.23 | 1.08 | 1.00 |
| 22:45 | 789 | გრეტნა-დერი | 1.60 | 3.40 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.95 |

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| | მოსკოვის გამზირი №6 | |
| ქუთაისი | ცისფერყანწელთა ქუჩა №4 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 21 | |
| ოზურგეთი | იოანე პეტრიწის ქუჩა №3 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | თამარ მეფის №1 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №17-29 | |
| ზესტაფონი | დავით ალმაშენებლის №39 | |
| გარდაბანი | დავით ალმაშენებლის №12 | |

## ცხრა დღე მსოფლიოს ჩემპიონატამდე

# ობერტოს ოცნება

## არგენტინა დრიმ თიმს არ დაელოდება



ფაბრიციო ობერტომ, ამერიკელებს ბურთს არ დაუთმობო

**არგენტინელთა** ერთ-ერთი ლიდერი და მთავარი ცენტრი ფაბრიციო ობერტო ინჩადას ამშვიდებს: „ყველამ უნდა შეიგნოს, რომ მოგება და წაგება ყველა დონის გუნდთან შეიძლება. თანაც ახლა, როდესაც ოლიმპიური ჩემპიონები ვართ, ნებისმიერი მეტოქე თავს იკლავს, ოღონდაც კი მოგვიგოს. მინდა, დავამშვიდო ჩვენი გულშემატკივარი და ვუთხრა, რომ სპარინგ-მატჩებში მარცხი საგანგაშო არ არის, პირიქით, დასკვნები გამოგვაქვს და თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებთ."

ობერტოს თავის მართლება მას შემდეგ დასჭირდა, რაც არგენტინის ნაკრებმა 67:79 წააგო საკონტროლო მატჩი ესპანეთთან. წაგება წაგებად და იმ მატჩში არგენტინამ საზიზღრად ითამაშა, განსაკუთრებით კი ნბა-ს ვარსკვლავმა, „სან ანტონიოს" ლიდერმა მანუ ჯინობილიმ.

ობერტომ, „მანუს" თანამემამულე კლუბელმა, მაგრამ სამარქაფომ, კბილებით დაიცვა ძმაკაცი: „ჯინობილი მაგარი ბიჭია. მას დამღლელი სეზონი ჰქონდა და ახლაღა შედის ფორმაში. „მანუ" ყოველთვის ჯიგრით თამაშობს და ეჭვი არავი შეეპაროს, სანამ თამაშობს, ყოველთვის გუნდის სული და გული იქნება."

რაც შეეხება არგენტინელთა საჩემპიონო შანსებს, ამაზე ობერტო ამბობს, რომ მის გუნდს მხოლოდ ჩემპიონობა დააკმაყოფილებს: „საერთოდ, რაოდესაც უდიდესი ტურნირი ტარდება, სამოცდაათი-ოთხმოცი პროცენტით უპირობო ფავორიტი ამერიკაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა დადგე და დაელოდო, როდის მოგიგებენ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია, თუნდაც ეს „დრიმ თიმი" იყოს. ოთხი წლის წინ ინდიანაპოლისში ფინალი წავაგეთ. მერე ოლიმპიური ჩემპიონები გავხდით. ახლა მხოლოდ ფინალისტობა ვერაფერი შედეგი იქნება. მხოლოდ ჩემპიონობა დაგვაკმაყოფილებს. სხვა შედეგი ჩავარდნად უნდა ჩავთვალოთ."

**ბაჩო სვანიძე**

# აფრიკულ-არაბული ამბავი

## ანგოლას მეტი უნდა, ყატარს ნაკლები

**19 აგვისტოს** დასაწყები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ანგოლამ დოჰაში ოთხთა ტურნირი მოიგო, რამაც მათ მწვრთნელ ალბერტო კარვილიოს ათქმევინა, მუნდიალზე ანგოლა ფავორიტებს გაამწარებსო. „ჩვენ ათლეტური, სწრაფი და მოქნილი გუნდი გვყავს. ის ფაქტი, რომ ფავორიტებში არ ვითვლებით და მეტიც, ჯგუფიდან ჩვენ გასვლასაც კი არავინ ვარაუდობს, ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებს. ჩემი სიტყვები ლაყბობა არ გეგონოთ, დაიწყება ტურნირი და ნახავთ, რომ ჩამოსაწერი გუნდი არ მყავს" — ეს ალბერტო კარვალიომ დოჰას ოთხთა ტურნირის მოგების შემდეგ თქვა.

დოჰაში კი დიდი არა, მაგრამ გუნდი რომ ჰქვია ისეთები შეიკრიბნენ. ანგოლამ ჯერ მასპინძელს და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამზადებულ ყატარს 75:62 მოუგო, მერე ფილიპინებს 86:82 გაუსწორდა, ფინალში კი ლატვია 83:77 მიანგრია.

„გუნდი ჩამოყალიბებულია და მზად არის, მსოფლიოს ჩემპიონატზე მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. დღევანდელი მდგომარეობით ვიტყვი, რომ ჩვენ მარტო მონაწილეობა აღარ გვაკმაყოფილებს. მეტიც, ჯგუფიდან გასვლა მხოლოდ მინიმუმი იქნება" — ეს განცხადება კი ანგოლას ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ და ახლა იქაური კალათბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა ტონი სოფრიმენტომ გააკეთა.

ანგოლელებისგან განსხვავებით, ილუზიებით არ იკვებება ტურნირის მასპინძელ ყატარის ნაკრების თავკაცი ჯოი სთიბინგი. „ჩვენ კარგ გუნდებს ვეთამაშეთ, გარკვეული გამოცდილებაც შევიძინეთ, მაგრამ განსაკუთრებული შედეგის მისაღწევად ეს საკმარისი არაა" — განაცხადა სთიბინგმა.

ბოლო ორ კვირაში ყატარი ორჯერ ეთამაშა ანგოლას, ერთხელ თურქეთს, ლატვიას, ფილიპინებს და ახალ ზელანდიას. ისევ სთიბინგი: „ანგოლასთან ძალიან ბევრი ჩასაგდები ბურთი ავაცილეთ და არც დაცვაში ვიყავით საიმედონი. ზუსტი პასი კი ყოველთვის იყო ჩვენი მთავარი პრობლემა".

ყატარში ახლა ფეხბურთის ბუმია, მაგრამ სთიბინგი იმედოვნებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშით კალათბურთი სპორტის ნომერ მეორე სახეობა მაინც გახდება. „ჩვენი მთავარი ამოცანაა იაპონიაში ღირსეული თამაში და პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრისთვის ბრძოლა" — ამბობს ყატარელთა თავკაცი, რომელმაც ეს ნაკრები სამი წლის წინ ჩაიბარა და გუნდი დაცვაზე ააგო.



ჯოი სთიბინგი

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყატარელები ურთულეს ჯგუფში მოხვდნენ საბერძნეთის, ლიტვის, ბრაზილიის, თურქეთისა და ავსტრალიის ნაკრებებთან ერთად.

**ბაჩო სვანიძე**



ალუსიო „ლულა" ფერეირა

# ყელში გაჩხერილი ლულა

## ამერიკამ ბრაზილია ძალისძალად გადაყლაპა

**ფიცი-მტკიცი** არ სჭირდება, ამერიკელებს ძლიერი ნაკრები ჰყავთ, მაგრამ არც იდეალური ეთქმის, რაც წლეულს პირველად ბრაზილიელებმა დაანახვეს მსოფლიოს ჩემპიონატის სამზადისში მოფუსფუსე საკალათბურთო სამყაროს.

ლას ვეგასში პუერტო რიკოს 45, ხოლო გუანჯოუში ჩინეთის 46 ქულით შემუსვრის შემდეგ ნბა-ს კაშკაშები მეცხრე ციდან მიწაზე საშუალო გუნდმა დააბრუნა. იქავე, სამხრეთ ჩინეთის უდიდეს ქალაქ გუანჯიუში სამხრეთამერიკელებმა გვარიანი ბრძოლა გაუმართეს ჩრდილოამერიკელებს და ბოლო წამებამდე ამტვრიეს კბილები. ბრაზილია პირველი ტაიმის შემდეგ 14 ქულით აგებდა — 38:52, მაგრამ იმდენი მოახერხა, საფინალო სირენამდე წუთით ადრე მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა — 86:87 აშშ-ს სასარგებლოდ. შტატებს სწორედ სულზე მიუსწრო ლებრონ ჯეიმსის ორქულიანმა, 3 ქულით დაწინაურებულებმა მატჩის სადავეები უკუიპყრეს და ჯერ ელტონ ბრენდმა დაუფარა ანდერსონ ვარეჟაოს, შემდეგ კი ჯო ჯონსონმა მარსელინიო მაჩადოს ბურთი მოჰპარა და ორიდან ერთი საჯარიმოს ჩაგდებით წერტილი დაუსვა შეხვედრას. საბოლოოდ შტატელებმა მხოლოდ ოთხი ქულით მოიგეს — 90:86 და ცოტა შეფიქრიანებულებმა დატოვეს მოედანი. იაპონიაში ბრაზილიაზე არანაკლები გუნდები დახვდებათ და ნამდვილი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

მათ თავკაც მაიკ კრჟიჟევსკის შეშფოთების მიზეზი სხვაც აქვს — მისმა შეგირდებმა ბრაზილიელებთან პირწმინდად წააგეს ფარი — 25:41.

41 მოხსნიდან 16 ანდერსონ ვარეჟაოს ანგარიშზე მოდის, რომელიც ნბა-ში, „კლივლენდ კავალიერზში" ლებრონ ჯეიმსის თანაგუნდელია. ვარეჟაომ 16 მოხსნას 11 ქულაც წაამატა. მისიანთა შორის კი ყველაზე შედეგიანი იყო ასევე ნბაელი, „ფინიქსის" საუკეთესო სათადარიგო ლეანდრო ბარბოსა. მის ანგარიშზე 14 ქულაა.

„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ გუნდთან ტოლსწორად თამაში შეგვიძლია" — ამბობდა ნამატჩევს ბარბოსა.

ბრაზილიელთა თავკაცმა ალუსიო „ლულა" ფერეირამ კი ნამატჩევ კომენტარებში მეტი კრიტიკულობა გამოურია: „მძიმედ დავიწყეთ და პირველ ტაიმში ბევრი ბურთი დავკარგეთ, ამიტომაც 20 წუთში საკუთარ კალათში 52 ქულა მივიღეთ. თუ გვინდა, რომ წარმატებას მივაღწიოთ, ასეთი რამ აღარ უნდა დავუშვათ. ჩვენ ცუდად არ ვთამაშობთ, მაგრამ სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს".

ამერიკელთაგან ყველაზე შედეგიანი ისევ და ისევ „დენვერის" ლიდერი კარმელო ენტონი იყო, რომელმაც პირველ ტაიმში 16 ქულა ჩააგდო, მაგრამ ტაიმის ბოლოს დაშავდა და მოედანზე აღარც შესულა. სავარაუდოდ, ის გამოტოვებს 13 აგვისტოს სეულში ლიტვასთან და 15 აგვისტოს სამხრეთ კორეასთან სპარინგ-მატჩებს, თუმც 19 აგვისტოს მუნდიალის დაწყებას ჯანმრთელი შეხვდება.

ამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ამხანაგურ მატჩთა სერიას ამ ორი შეხვედრით ამთავრებენ.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარჩია რჩეულებს სექტემბერში დაარჩევს

## ბერძენ-რომაელებმა სომხურ-იტალიურად დაიწყეს

*ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ორკვირიანი სომხური შეკრებიდან დაბრუნდა და სამსოფლიოჩემპიონატო სამზადისს თბილისში განაგრძობს. ბეგი დარჩიას და მის შეგირდებს სეზონის უმთავრესი ტურნირი სექტემბრის ბოლოს ჩინეთში ელით. იქამდე კი ორი შეკრება და ერთი საერთაშორისო ტურნირიც დაუგეგმავთ. რაც მთავარია, მწვრთნელს ჯერ მსოფლიოზე წასაყვანი შემადგენლობაც არ დაუსახელებია — შვიდეულში მოსახვედრად კანდიდატები ჯერაც იბრძვიან. დარჩიას გუშინ ფალავანთა კლუბში დილის ვარჯიშის შემდეგ შევხვდით*



**— კმაყოფილი დარჩით წახკაძორის შეკრებით?**

— სომხეთში ორი კვირა მშვენიერ პირობებში ვივარჯიშეთ. მე და ოთარ ტატიშვილმა იქ 14-კაციანი შემადგენლობა ჩავიყვანეთ. მათ შორის ახალგაზრდული ნაკრების სამი წევრი, რომლებმაც აგვისტოს ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა იჭიდაონ. შეკრების პროდუქტიულობა ერთიორად გაზარდა იმან, რომ ჩვენს გარდა წახკაძორში სომხეთისა და იტალიის ნაკრებებიც იყვნენ და ერთობლივი შეკრება გავიარეთ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე კიდევ გეგმავთ გასვლით შეკრებებს?**

— ჩინეთამდე საზღვარგარეთ ერთხელაც გავემზავრებით, ოღონდ არა შეკრებაზე, არამედ საერთაშორისო ტურნირზე. ვარჯიშით კი საქართველოში ვივარჯიშებთ. პირველ ორკვირიან შეკრებას 23 აგვისტოს ბორჯომში დავიწყებთ. რამდენიმედღიანი შესვენების შემდეგ ისევ ბორჯომში ჩავალთ, მხოლოდ ერთი კვირით. გვინდა, ჩინეთში ტურნირის დაწყებამდე 8-9 დღით ადრე გავემგზავროთ, აკლიმატიზაციის პრობლემა რომ არ შეგვექმნას.

**— შემადგენლობასაც ბოლო შეკრებაზე გამოაცხადებთ?**

— დასკვნით ბორჯომულ შეკრებამდე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. გარკვეული მონახაზი უკვე არსებობს, მაგრამ სანამ ბოლომდე არ დაზუსტდება, მასზე საუბარს მოვერიდებით.

**— თუ არიან ისეთები, რომელთაც ჩინურ შემადგენლობაში მოხვედრა უკვე გაინაღდეს?**

— მსოფლიოს ჩემპიონატამდე თვეზე მეტია დარჩენილი და წინასწარ არავის არაფერი აქვს განაღდებული. რამდენიმე წონას გამოკვეთილი ლიდერი მართლაც ჰყავს, მაგრამ ჯერ მაინც არ ვეუბნებით, რომ შემადგენლობაში მოხვდებიან. გვინდა, კონკურენტის სუნთქვას ბოლო მომენტამდე გრძნობდნენ.

**— ალბათ, ამ რამდენიმეში ირაკლი ჭოჭუას, ბადრი ხასაიას და რამაზ ნოზაძეს გულისხმობთ...**

— უკომენტაროდ.

**— თბილისის საერთაშორისო ტურნირი ტრამვის გამო ნაკრების ორმა გამოცდილმა წევრმა, დავით ბედინიძემ და მანუჩარ კვირკველიამ გამოტოვა. ახლა როგორ არიან?**

— ორივე სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

**— სხვა რომელიმე მოჭიდავეს ხომ არ უშლის ტრავმა ვარჯიშში ხელს?**

— ასეთი მხოლოდ მძიმეწონოსანი გიორგი ჯობავაა. ჯვარედინი იოგები აქვს დაზიანებული და ოპერაცია სჭირდება. საბედნიეროდ, სხვები ჯანზე არიან.

**— ბედინაძის არყოფნაში მის წონაში თბილისურ ტურნირზე ქართველებმა მხოლოდ ერთი ბრინჯაო აიღეს. როგორც ჩანს, დავითს სერიოზული კონკურენტი ჯერ არ ჰყავს.**

— ძალიან კარგი ახალგაზრდები მოდიან, მაგრამ ჯერ მათ ბედინაძის სერიოზულ კონკურენტებად ვერ ჩავთვლით. სავარაუდოდ, მომავალი წლიდან ამ წონაშიც ძლიერი კონკურენცია იქნება.

**— ამჟამად რომელ წონაშია ყველაზე დიდი კონკურენცია?**

— 74 კილოგრამში. კვირკველიას გარდა რამდენიმე ძლიერი მოჭიდავე გვყავს, თუმცა ამ ეტაპზე არჩევანს მანუჩარსა და თბილისის ტურნირის მომგებ დავით კობერიძეს შორის გავაკეთებთ. ერთ კვირაში რუმინეთში მივდივართ საერთაშორისო ტურნირზე და განაცხადში ორივე შევიყვანეთ.

**— ამათ გარდა ვინ იჭიდავებს რუმინეთში?**

— 60 კილოგრამში ბედინაძე, 66 — ლაშა ლომაძე, 84 — ხასაია და შალვა გადაბაძე, 96 — ნოზაძე და +120 — რევაზ ჭელიძე.

**— ლომაძე და ჭელიძე კონკურენტების გარეშე მიგყავთ...**

— ორივემ ლამაზად იჭიდავა კარტოზიას სახელობის ტურნირზე და გვაინტერესებს, უცხოეთში რას იზამენ. თან საერთაშორისო გამოცდილებაც გამორჩეულად სჭირდებათ. ლომაძეს ბოლო ერთი წლის განმავლობაში მძიმე ტრავმის გამო მოუწია დასვენება. ამ პერიოდში 66 კილოგრამში თითქმის ყველა კანდიდატს მივეცით თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ შედეგი ვერავისგან დავინახეთ.

**— ჭელიძემ კი სპორტის სასახლეში მთავარ კონკურენტს, მირიან გიორგაძეს ძალიან იოლად მოუგო...**

— კარგი იქნებოდა, ჯობავასაც ეჭიდავა თბილისის ტურნირი. მძიმე წონაში სამი კანდიდატი გვეყოლებოდა.

**— 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უმედლოდ დავრჩით. თვლით, რომ ახლა უკეთესი გუნდი გვყავს?**

— ულაპარაკოდ ასეა. იმ წარუმატებლობას ბევრი მიზეზი ჰქონდა. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკრების ლიდერთა ტრავმები და არასაკმარისი მომზადება იყო. ამ ორი ასპექტში ახლა ყველაფერი რიგზეა. სავარჯიშო პროცესი გეგმაზომიერად მიდის და თუ გაუთვალისწინებელი პრობლემები არ შეგვექმნა, ჩინეთში ძლიერი გუნდი გვეყოლება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

რაგბი

# ქალებმა ასპინძიდან დაიწყეს



ზურაბ დუგლაძე თავის გოგოებთან ერთად

**ჩვენში** ქალთა სარაგბო კლუბის გაკეთების იდეა ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიბადა, მაგრამ კონსულტაციებისა და აქეთური-იქეთურის იქით საქმე არ წასულა. ახლა კი, „ხულიგანას" ერთ-ერთმა მწვრთნელმა და ბავშვთა რაგბიში ჭიპმოჭრილმა ზურა დუგლაძემ, შინაურ ამბავში იგივე „დუგიმ", იდეა საქმედ აქცია, რამდენიმე მონდომებული მანდილოსანი შეკრიბა და სარაგბო კლუბში გააერთიანა. ქალთა „პირველმა მერცხალმა" სადებიუტო საწვრთნელი შეკრება ასპინძაში გამართა, რეგულარულად კი კვირაში ორჯერ „შევერდანზე" ვარჯიშობს. შემოდგომაზე გუნდი ბაქოში აპირებს გამგზავრებას, სადაც ქალთა შვიდკაცა, უკაცრავად, შვიდქალა ტურნირია დანიშნული. 28 ოქტომბერს კი, დუგლაძის გუნდი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მატჩის წინ, აზერბაიჯანელ გოგონებს თბილისში ეთამაშება. გუნდს სახელი ჯერ არა აქვს, გოგოების შევსებას ახლაც ელიან. სადღეისოდ სულ ცხრა გოგო ვარჯიშობს, ესენი არიან: ნათია მესხი, თამუნა ყელბერაშვილი, ანა ნიკოლაიშვილი, მარი ქველაძე, თამუნა ჩხუბიანიშვილი, მარიამ ეთიმოვი, ოლია და ტატა ნაცვლიშვილები.

**ბაჩო სვანიძე**

პლაჟის ფრენბურთი





# ჩვენებმა რუსებს გე-ორგია მოუწყვეს

**სეზონის** ბოლო ეტაპზე წარმატებით დაიწყეს თამაში ჩვენმა გაქართველებულმა ბრაზილიელებმა რენატომ და ჟორჟიმ ჩვენებურად გეორ და გია რომ ჰქვიათ. პოლონურ იაბლონსკში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის საკვალიფიკაციო ჩვენებმა სულ მოგებ-მოგებით ჩაარიხნეს.

რენატო და ჟორჟი პირველი წრისგან თავისუფლები იყვნენ, მეორე რაუნდში კი სულ რაღაც ორმოც წუთში ავსტრიელებს, კლიმექს და მატუსიაკს ორ სეტში მოუმთავრეს საქმე. ამ ავსტრიელებს ჩვენებმა ჩაროზად რუსების კოლოდინსკი-კალინინის წყვილი დააყოლეს და ძირითად ბადეში მოხვდნენ.

ავსტრიელთაგან განსხვავებით, გეორ და გიას რუსებთან ცოტა გაუჭირდათ, პლაჟბურთობამ ერთ საათს გასტანა და საბოლოოდ ჩვენების მოგებით 2:1 (21:16, 15:21, 18:20) დასრულდა. ძირითად ბადეში ჩვენები დღეს ითამაშებენ. იქამდე კი მსოფლიო რეიტინგში გეორგ-გია 26-ე ადგილზე არიან 1044 ქულით, ხოლო მათი საპრიზო მონაგარი — 22 500 დოლარია.

ერთიც, იაბლონსკის ეტაპი ბოლოა საზაფხულო სეზონისთვის. ჩვენები მორიგ ეტაპს მშობლიურ რიო დე ჟანეიროში ითამაშებენ.



AFP

# მეორედ წასვლა

## ჟაკ ვილნევმა სამეფო რბოლებს ხელი დაუქნია

**წლევანდელი** საპირველფორმულო ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ საკმაო დროა — სამი თვე, თუმც ალაგ-ალაგ უკვე ირკვევა საგაისო შემადგენლობები.

უმთავრესი და ყველაზე ხმაურიანი შარშანდელ ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს გადასვლა იყო „რენოდან" „მაკლარენში". ეს ტრანსფერი იმდენად სენსაციური არ გახლდათ, რამდენადაც ნაადრევი — თითქმის წელიწადნახევრით ადრე ახალი კონტრაქტები ხომ არ ფორმდება.

ერთი სიტყვით, 2007 წლიდან ალონსო „მაკლარენში" იქროლებს. იქ წყალშეყენებულმა ხუან-პაბლო მონტოიამაც დროზე აიკრა გუდა-ნაბადი და საიდანაც მოვიდა „სამეფო რბოლებში", იქითვე გაუტია — ამერიკულ სერიაში, კერძოდ „ნასკარში".

• საწყენია, მაგრამ ამ დღეებში გაცხადდა, რომ ხუანის გზას დაადგა ფორმულა 1-ის ლეგენდის, ჟილ ვილნევის ჩემპიონი (1997) შვილი, კანადელი ჟაკ ვილნევი.

გასულ უქმეებზე, უნგრეთის საგრანპრიზო ბრძოლისას ჟაკის არყოფნამ — წინა რბოლაში ავარიისას ისე დაშავდა, რომ ჯერაც ვერაა ჯანზეო — არასასიამოვნო ხმები ააგორა.

ჭორი ჭორად, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ ხომ არ არსებობს. ერთი სიტყვით, ვილნევის ავარია მხოლოდ მიზეზი ყოფილა და „BMW-ზაუბერის" ხელმძღვანელობამაც მკაცრი განცხადება გაავრცელა, აქაოდა, ჟაკმა ჩვენთვის ბევრი სასიკეთო კი გააკეთა, რისთვისაც მადლობას ვუხდით, მაგრამ გუნდის სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე, აქცენტი ახალგაზრდა მრბოლებზე უნდა გადავიტანოთო.

ვილნევი პოლონელმა ახალბედამ, 21 წლის რობერტ კუბიცამ შეცვალა, რომელმაც „ჰუნგარორინგზე" ჩინებულად იქროლა კვალიფიკაციისასაც და რბოლაშიც, ფინიშთან მეშვიდე მივიდა და ორი ქულაც დაიმსახურა, მაგრამ რაკი მისი მანქანა დასაშვებზე ორი კილოგრამით მსუბუქი აღმოჩნდა, პოლონელი დებიუტანტი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

კუბიცა მომდევნო, თურქულ ეტაპზეც გაიჯირითებს, მაგრამ მისი საფორმულო მომავალი მხოლოდ სეზონის მიწურულს, ოქტომბერში გაირკვევა.

სანამ კუბიცას მომავალი გაირკვეოდეს, ჟაკ ვილნევმა მშობლიური ჩრდილოეთ ამერიკისკენ აიღო გეზი. ეს ფორმულა 1-დან მისი მეორე წასვლაა. პირველის შემდეგ ჟაკი დაბრუნდა, მეორე დაბრუნება ნაკლებად სავარაუდოა.

ბოლოს კი ნაღდ ვარიანტზე. „რედ ბულის" მილიარდელმა მეპატრონემ, ავსტრიელმა დიტრიხ მატეშიცმა თანამემამულე მძღოლი კრისტიან კლიენი გუნდიდან დაითხოვა და მის ნაცვლად „უილიამსიდან" ავსტრალიელი მარკ ვებერი გადაიბირა. კლიენის მოხსნის მიზეზი მისი უსახური ჯირითი, 12 რბოლაში სულ რაღაც ორი ქულა გახდა.

ერთი სიტყვით, ცოტაც და ყველაფერს შევიტყობთ. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, წავა თუ არა ფორმულიდან მიხაელ შუმახერი და თუ წავა, ვინ დაიკავებს „ფერარიში" მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის ადგილს.

რაიკონენი?

მაგრამ შუმი მიდის?!

**გია ახალაძე**



# როჯერის დღე

## ფედერერმა ტორტს მატიო მიაყოლა

**მასტერსი**
**ტორონტო. კანადა. ჰარდი**
**საპრიზო 2 450 000 $**

### პირველი წრე

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 6:3 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3 6:2.; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — დანიელე ბრაჩიალე (იტალია) 4:6 6:1 6:4; **ტომი ჰაასი** (16, გერმანია) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (11, ავსტრალია) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 3:6 6:2 7:5; **ქსავიე მალისი** (ბელგია) — ნიკოლაი დავიდენკო (6, რუსეთი) 6:3 7:5; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:2 6:1; **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — პოლ გოლდსტინი (აშშ) 7:5 6:2; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:5 5:7 6:2; **დენის გრემელმაირი** (გერმანია) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 7:6 6:2; **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — დავიდ ფერერი (12, ესპანეთი) 6:2 7:6; **იარკო ნიემინენი** (14, ფინეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:4 7:5; **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:3 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — რაჯეევ რემი (აშშ) 3:6 6:1 6:4; **კევინ კიმი** (აშშ) — რობი ჯინეპრი (აშშ) 3:6 7:5 6:3; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (კორეა) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 6:0 6:7 6:1

**ქალები**
**ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 600 000 $**

### პირველი წრე

**მარიონ ბარტოლი** (15, საფრანგეთი) — ანჯელა ჰეინსი (აშშ) 6:2 6:2; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — აი სუგიამა (9, იაპონია) 7:5 6:2; **შაჰარ პირი** (14, ისრაელი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 6:1 6:0; **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:4 6:3; **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) — ჰანა შრომოვა (ჩეხეთი) 7:5 7:5; **ანა ივანოვიჩი** (10, სერბეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 6:3 6:1; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:4 6:2; **ლიზა რეიმონდი** (აშშ) — ვირჟინა რაზანო (საფრანგეთი) 6:4 6:2; **სერენა უილიამსი** (აშშ) — მარია კირილენკო (11, რუსეთი) 6:2 6:1; **მეგან შონესი** (აშშ) — ნატალი დეში (17, საფანგეთი) 4:6 6:4 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (16, სერბეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 6:2 7:6

### მეორე წრე

**ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — ნადია პეტროვა (2, რუსეთი) 6:3 6:2; **ელენა დემენტიევა** (3, რუსეთი) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:2 7:5; **დინარა საფინა** (5, რუსეთი) — ვანია კინგი (აშშ) 1:6 7:5 6:2; **ბეტანი მატეკი** (საფრანგეთი) — ფლავია პენეტა (8, იტალია) 6:4 2:6 7:5

**ქალები**
**სტოკჰოლმი. შვედეთი. ჰარდი**
**საპრიზო 145 000 $**

### პირველი წრე

**ანასტასია მისკინა** (1, რუსეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 7:6 6:3; **სოფია არვიდსონი** (4, შვედეთი) — ემა ლეინი (ფინეთი) 7:5 4:6 7:5; **იოანა ლარსონი** (შვედეთი) — კრისტინა ბაროისი (გერმანია) 4:6 7:5 7:5; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) 6:2 5:7 6:4; **ჟი ჟენგი** (3, ჩინეთი) — ჟი იანი (ჩინეთი) 7:5 6:0



**ყველაფერი** იქითკენ მიდის, რომ როჯერ ფედერერ-რაფაელ ნადალის, უკვე ეპიკურად ქცეული ჯახი ჰარდზეც აუცილებლად გაგრძელდება. სწორედ რომ აქ უნდა გადაწყდეს ამ ორი გიგანტის დაპირისპირების ბედი, რადგანაც აქამდე — ნადალს მჯობნი გრუნტზე არ მოეძებნა, ფედერერს კი აგერ უკვე მეოთხე წელია, ბალახზე ვერავინ უგებს. ჰოდა, ისე გამოდის, რომ ჰარდი გაარკვევს მათ შორის პირველს. ჩვენ კი მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ მოსალოდნელ სანახაობას დაველოდოთ, მერე კი მისი ყურებით დავტკბეთ.

გუშინ ორივე ფავორიტი გავიდა კორტზე და ორივემ იოლად, ზედმეტი პრობლემების გარეშე მოიგო. ჯერ ესპანელს მოუწია თამაში და მანაც ნიკოლას მასუს მხოლოდ ხუთი გეიმი აალებინა. ამ მოგების შემდეგ პირინეელს სეზონის მოგება-წაგებათა მაჩვენებელი ფრიად სოლიდური გაუხდა — 44:5.

ფედერერს კი გუშინ დაბადების დღე ჰქონდა და აბა, ამას როგორ ჩაიშხამებდა. თამაშმაც რაღაც საზეიმო ვითარებაში ჩაიარა — შვეიცარიელი ჯერ კორტზე როკავდა, შემდეგ გულშემატკივრებმა მიუძღვნეს ამ დროს ტრადიციული "Hfgg. Bbhn/lf.". თავი არც ორგანიზატორებს შეურცხვენიათ და იუბილარს ტორტთაც გაუმასპინძლდნენ. ამ მხიარულობაში კი, ალბათ, როგორღაც პოლ-ანრიო მატიოსაც გადაავიწყდა, რომ ცოტა ხანში ტორონტოდან აბარგება მოუწევდა.

ფედერერისთვის კი ეს ზედიზედ მოგებული 49-ე მატჩი იყო ჩრდილო ამერიკულ ჰარდზე. შვეიცარიელმა 2004 წელს ცინცინატიდან რომ დაიწყო, აგერ, მეორე წელიწადი იწურება და მისი მომგები ჯერჯერობით ვერ მოიძებნა.

სამაგიეროდ, ძალიან უიღბლო გამოდგა გუშინდელი დღე რუსებისთვის. ოთხი სლავიდან მხოლოდ ერთმა, დმიტრი ტურსუნოვმა მოახერხა მეორე წრეში გასვლა. დანარჩენებმა კი ასე „იჩაუქეს" — მოჩვენებითი გამოდგა მარატ საფინის თითქოსდა და ძველებურად ათამაშება, რადგან ჰარდზე ყოველთვის საშუალოზე დაბალ დონეზე მოთამაშე ტომი რობრედოსთან დაყარა ფარ-ხმალი; გავარდა ტორონტოში მეექვსე ნომრად განთესილი ნიკოლაი დავიდენკოც. როგორც ვვარაუდობდით, არ წაადგა კოლია ბატონს ევროპულ გრუნტზე ასე გვიანობამდე შემორჩენა და იჯახიროს ახლა ამერიკულ ჰარდზე; მესამე უიღბლო რუსი კი გვარ-ტომით ჩვენიანი, მაგრამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სახელით მოთამაშე თეიმურაზ გაბაშვილი აღმოჩნდა.

ლეიტონ ჰიუიტს კი დიდი წვალების გადატანა უწევს ნებისმიერი მატჩის მოსაგებად. ოზი მესამე კვირაა, რაც ახალ სამყაროში ჩოგნაობს და სულ ჯახირ-ჯახირით ირჯება. ამჯერად ხუან-ივნასიო ჩელა დაუდგა მედგრად ავსტრალიელს და კინაღამ კიდევ ერთი ფავორიტის გარეშე დატოვა ტურნირი. თუმც კინაღამ არ ითვლება.

ნადია პეტროვა კი აგრძელებს თავის საოცარ სერიას. საოცარს იმ კუთხით, რომ რუსი გასაოცარი სიჯიუტით აგრძელე[illegible] ტურნირებიდან პირველივე ეტაპზე გამოვარდნას. ამჯერად პეტროვამ ეს ლოს ანჯელესში „შეძლო" და ვირხინია რუანო პასკუალს ვერ მოუგო.

სამაგიეროდ, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტზე ახლახან მობრუნებული სერენა უილიამსი ზედიზედ მეორე შეჯიბრს იწყებს კარგად. ამერიკელმა მარია კირილენკოს შთამბეჭდავი გაკვეთილი ჩაუტარა და მხოლოდ სამი გეიმი „აჩუქა".

თუმც კალიფორნიაში რუსებს მთელი კოლონია ჰყავთ გაგზავნილი და დიდხანს დამწუხრება არ უწევთ ხოლმე. ამდენიდან ერთი მაინც ხომ მოიგებს. ამჯერად სლავებს წუხილი ელენა დემენტიევამ გაუნელა და მესამე წრეში საკმაოდ დამაჯერებლად გავიდა.

**კახა ლომაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

GÖTEBORG EUROPEAN ATHLETICS CHAMPIONSHIPS

# ევროპის მე-19 ჩემპიონატი
## გიოტებორგი. შვედეთი. 7 – 13 აგვისტო

# მშვიდად, შვედებო!
## კაროლინამ ოქრო მოიკეკლუცა




ევროპირველობის მასპინძელი შვედები ბებერი კონტინენტის მძლავრ სამძლეოსნო ქვეყნებს გიოტებორგში შედარებით მცირერიცხოვანი რაზმით დახვდნენ. თუმც მათი ფედერაციის ჩინოსნებმა ხალხს მაინც ოქროს წვიმა აღუთქვეს.

თბილისის არ იყოს, წვიმა გიოტებორგშიც იგვიანებს, თუმც პირველი და — ესეც სათქმელია — წინასწარ დაგეგმილი ოქროს მედალი უკვე მეორე დღეს ჩაწკრიალდა შვედურ ყულაბაში. ქალთა შვიდჭიდში, ევროპაში საერთო სახელად ჰეპტატლონს რომ ეძახიან, ჩემპიონატის პირველ დღეს გალიდერებულმა კაროლინა კლუფტმა მეორე დღესაც არ შეირცხვინა თავი და უდიდესი უპირატესობითაც მოიპოვა ევროპული ოქრო. რა დასამალია და, ეს მედალი გარანტირებულიც ჰქონდა. მას შემდეგ, რაც შვიდი სახეობიდან პირველ ორში ყოჩაღად გამოსულმა ფრანგმა იუნის ბარბერმა ტრავმა გაიმიზეზა და ბრძოლას გამოეთიშა, კლუფტის პირველობაში ურწმუნო თომასაც ველარ შეეპარებოდა ეჭვი.

„ძალიან ცუდია, რომ იუნისი ადრევე გამოაკლდა შეჯიბრს, ცუდია ევროპის ჩემპიონატისთვის და გულშემატკივრებისთვის, მაგრამ ყველაზე ცუდი თავად მისთვისაა. თუმც ერთ რამეს მოგახსენებთ, მის არყოფნას ოდნავადაც არ დაუქვეითებია ჩემთვის ბრძოლის სურვილი“ — ამბობდა კლუფტი გაჩემპიონობის შემდეგ. ცოტა კეკლუცობადაც კი გამოუვიდა, რაკი ბარბერთან ბრძოლაში ის გაცილებით უკეთეს შედეგებსაც დააფიქსირებდა, ასე კი თავი დიდადაც არ მოუკლავს. კლუფტმა გვარიანი უპირატესობით მოიგო შვიდჭიდის მეხუთე სახეობა — სიგრძეზე ხტომა (6,65 მეტრი), რის შემდეგაც ცხადი გახდა, ველარავინ დაეწეოდა. შვედგოგომაც ხელები ლამის გულზე დაიკრიფა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მოვალეობის მოხდის მიზნით და ოქმში ადგილის შესავსებად გამოვიდა სარბიელზე. მეექვსე დისციპლინაში, შუბის ტყორცნაში მხოლოდ მეხუთე იყო (46,94 მეტრი), სულ ბოლოს 800 მეტრზე სირბილში კი მთქნარება-მთქნარებით მხოლოდ მე-13 შედეგით მიბუნძულდა ფინიშთან.

ამის მიუხედავად კაროლინამ მაინც უდიდესი უპირატესობით აჯობა ევროპის უყოჩაღეს შვიდჭიდელებს (მინუს ბარბერი). ჯამში მან 6740 ქულა დააგროვა, მაშინ, როცა მეორე-მესამე ადგილებზე გასულ ჰოლანდიელ კარინ რუქსტულს და გერმანელ ლილი შვარცკოფს მხოლოდ 6423 და 6420 შეუგროვდათ. კლუფტის 6740 ქულა ევროპის ჩემპიონატების რეკორდიც კია.

კაროლინას მანამდე ევროპაც მოეგო, მსოფლიო პირველობაც და ოლიმპიადაც, მაგრამ კვლავ წაიკეკლუცა და ქერა ნაწნავების რხევით თქვა — მთელ ჩემს კარიერაში ეს ყველაზე დიდი გამარჯვებაა, რაკი სამშობლოში, სახლთან და ახლობლებთან სიახლოვეს მოვიპოვეო.

ამგვარად, კლუფტმა მასპინძლებს პირველი წინდაწინ შეგულებული ოქრო დაუბევა. ვიკინგთა ჩამომავალი, მაგრამ აწ უკვე ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობიან ერად მეტამორფირებული შვედები ოქროებს ასევე სიმაღლეზე მხტომელი კაისა ბერგკვისტისა და სამხტომელი კრისტიან ოლსონისგან ელიან, თუმცა ლურჯ-ყვითელი რაზმის წარმომადგენელი სხვა ნაკლებცნობილი გოგო-ბიჭებისგანაც არ დაიწუნებენ საჩემპიონო სინჯის მედლებს, ოღონდ...

სამშაბათს მედლების კიდევ 5 კომპლექტი გათამაშდა და მასპინძელთა არც ერთ წარმომადგენელი არ მოხვედრილა არათუ მედლოვან სამეულში, არამედ 8-8 საუკეთესოთა შორისაც კი. სამაგიეროდ, ოთხი მედალი მოიპოვეს რუსებმა — ერთი ოქრო და სამიც ვერცხლი. რუსმა დედაკაცებმა, ტატიანა ლისენკომ და გულფია ხანაფეევამ, უროს ტყორცნაში ევროპირველობა შიდარუსულ დაპირისპირებად აქციეს. ლისენკო უფრო ყოჩაღი აღმოჩნდა, 76,67 მეტრზე გაჰკრა ურო და ხანაფეევას 2 მეტრზე მეტითაც აჯობა.

გუშინვე ჩატარდა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სახეობის, კაცთა შორის 100 მეტრზე სპრინტის ფინალი, სადაც იმან მოიგო, ვისაც უნდა მოეგო. პორტუგალიელმა ფრანსის ობიკველუმ 100 მეტრი 9,99 წამში გაირბინა და ევროპის ჩემპიონატების რეკორდიც დაამყარა. თავად ობიკველუსაც წლეულს ასე მარდად არ ურბენია, თუმც პირად რეკორდამდე მაინც დააკლდა წამის ბლომად მეასედები — ორი წლის წინ მას 9,86 შედეგი უჩვენებია.

ნიგერიაში დაბადებულმა და ფეხადგმულ-აჩქარებულმა ობიკველუმ მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, თუმც ის მაინც პირველ ოქროდ მიიჩნევს გიოტებორგში მოგებულს, რაკი წინა ჩემპიონატზე, მიუნხენში ფინიში მეორემ გადაკვეთა, ოქრო კი პირველადგილოსანი დუეინ ჩამბერსის დოპინგის ხმარებაში მხილების გამო შეხვდა.

„ჩემს გონებაში მიუნხენს მხოლოდ მეორე ადგილად ვთვლი. ახლა კი საკუთარი ოქრო მაქვს, ის არ მინდა“ — ამბობდა გამარჯვებული.

იმ ჩამბერსმა კი ორწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და სარბენ ბილიკებსაც დაუბრუნდა, მაგრამ ძველი სისწრაფე და რიხი სადღაც დაუკარგავს. ბრიტანელი ახლა გიოტებორგში 10,24 შედეგით მხოლოდ მეშვიდე იყო.

სიგრძეზე მხტომელმა ენდრიუ ჰოუიმ 8,20 მეტრზე ისკუპა და პირველი იტალიელი გახდა, ვინაც ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ისე, რაღა დაგიმალოთ და, მხოლოდ პასპორტითაა იტალიელი, მოდგმით ამერიკელი გახლავთ. ესეც სათქმელია, ჰოუიმ საკვალიფიკაციო ეტაპზე უკეთესი ნახტომი შეასრულა, 8,35 მეტრზე გადახტა, თუმც ფინალში 8,20-ითაც გაიმარჯვა და რა უჭირს. 8,13 მეტრით მეორე ბრიტანეთისთვის პირველი მედლის მომპოვებელი გრეგ რუზენფორდი იყო, 8,12 მეტრით ბრინჯაო კი უკრაინელ ალექსეი ლუკაშევიჩს ერგო. საერთოდ არაფერი არ შეხვდა კიდევ ერთ უკრაინელს, საკვალიფიკაციოზე 8,25 მეტრზე გადამხტარ ვიქტორ კუზნეცოვს — ფინალში მან 8 მეტრსაც ვერ უწია.

კაცთა 10-კილომეტრიან სირბილში ესპანელი ფავორიტები — ხოსე მანუელ მარტინესი და ხუან კარლოს დე ლა როსა ოქროს გარეშე დატოვა გერმანელმა იან ფიტჩენმა, თუმც ესპანეთს სამშაბათს ერთი ოქრო მაინც შეხვდა — ფრანცისკო ხავიერ ფერნანდესმა თითქმის წუთიანი უპირატესობით მოიგო 20 კილომეტრზე სპორტული სიარული.

**კოტე ყორშია**



ენდრიუ ჰოუიმ იტალიას ევროპულ ქვიშაში პირველი ოქრო მოუპოვა

8 აგვისტოს კვარცხლბეკი

| | | |
|---|---|---|
| **ჰეპტატლონი. ქალები** | | |
| 1 | კაროლინა კლუფტი (შვედეთი) | 6740 |
| 2 | კარინ რუქსტული (ჰოლანდია) | 6423 |
| 3 | ლილი შვარცკოფი (გერმანია) | 6420 |
| **100 მ. კაცები** | | |
| 1 | ფრანსის ობიკველუ (პორტუგალია) | 9,99 |
| 2 | ანდრეი ეპიშინი (რუსეთი) | 10,10 |
| 3 | მარტიჩ ოსოვნიკარი (სლოვენია) | 10,14 |
| **სიგრძეზე ხტომა. კაცები** | | |
| 1 | ენდრიუ ჰოუი (იტალია) | 8,20 |
| 2 | გრეგ რუზერფორდი (ბრიტანეთი) | 8,13 |
| 3 | ალექსეი ლუკაშევიჩი (უკრაინა) | 8,12 |
| **10 კმ. კაცები** | | |
| 1 | იან ფიტშენი (გერმანია) | 28.10,94 |
| 2 | ხოსე მანუელ მარტინესი (ესპანეთი) | 28.12,06 |
| 3 | ხუან კარლოს დე ლა როსა (ესპანეთი) | 28.13,73 |
| **20 კმ. სიარული. კაცები** | | |
| 1 | ფრანსისკო ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი) | 1:19,09 |
| 2 | ვალერი ბორშინი (რუსეთი) | 1:20,00 |
| 3 | ჟოაო ვეირა (პორტუგალია) | 1:20,09 |
| **უროს ტყორცნა. ქალები** | | |
| 1 | ტატიანა ლისენკო (რუსეთი) | 76,67 |
| 2 | გულფია ხანაფეევა (რუსეთი) | 74,50 |
| 3 | კამილა სკოლიმოვსკა (პოლონეთი) | 72,58 |

9 აგვისტოს ჩემპიონები

| | |
|---|---|
| **20 კმ. ს.პ.ს. ქალები** | |
| რიტა ტუროვა (ბელარუსი) | 1:27.08 |
| **სამხტომი. ქალები** | |
| ტატიანა ლებედევა (რუსეთი) | 15,15 |
| **სიმაღლეზე ხტომა. კაცები** | |
| ანდრეი სილნოვი (რუსეთი) | 2,36 |
| **შუბის ტყორცნა. კაცები** | |
| ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია) | 88,78 |
| **1500 მ. კაცები** | |
| მეჰდი ბაალა (საფრანგეთი) | 3. 39,02 |
| **100 მ. ქალები** | |
| კიმ გევარტი (ბელგია) | 11,06 |
| **400 მ. კაცები** | |
| მარკ რაკვილი (საფრანგეთი) | 45,02 |
| **400 მ. თარჯრბენი. ქალები** | |
| ევგენია ისაკოვა (რუსეთი) | 53,93 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**ლილი** (საფრანგეთი) 3:0 **რაბოტნიჩკი** (მაკედონია)
1:0 იოვანოვსკი (60ს.კ.), 2:0 ფოვერჟი (71), 3:0 ბასტოსი (80)

**ცსკა** (რუსეთი) 3:0 **რუჟომბეროკი** (სლოვაკეთი)
1:0, 2:0 ოლიჩი (58, 65), 3:0 ვაგნერ ლავი (83)

**დინამო** (უკრაინა) 3:1 **ფენერბაჰჩე** (თურქეთი)
1:0 რინკონი (1), 1:1 მარკო აურელიო (48), 2:1 რინკონი (67), 3:1 იუსუფი (83)
*დავით იმედაშვილი განაცხადში არ იყო*

**შახტარი** (უკრაინა) 1:0 **ლეგია** (პოლონეთი)
1:0 მატუზალემი (40პ)

**ლევსკი** (ბულგარეთი) 2:0 **კიევო** (იტალია)
1:0 დომოვჩისკი (8), 2:0 ბარდონი (86პ)

**გალათასარაი** (თურქეთი) 5:2 **ბოლესლავი** (ჩეხეთი)
1:0 ილიჩი (73), 2:0 თურანი (43), 3:0 ჰაქან შუქური (49), 4:0 თურანი (60), 4:1 ბრეჟინსკი (81), 4:2 კულიჩი (82), 5:2 სარიოღლუ (90)

**ლიბერეცი** (ჩეხეთი) 0:0 **სპარტაკი** (რუსეთი)

**ჰამბურგი** (გერმანია) 0:0 **ოსასუნა** (ესპანეთი)

**კოპენჰაგენი** (დანია) 1:2 **აიაქსი** (ჰოლანდია)
0:1 ჰუნტელაარი (38), 1:1 ჰანგელანდი (45), 1:2 ჰუნტელაარი (84)

**სტანდარდი** (ბელგია) 2:2 **სტიაუა** (რუმინეთი)
0:1 პარასკივი (8), 1:1, 2:1 რაპაიჩი (16, 51), 2:2 პ. მარინი (78)

**ჰართსი** (შოტლანდია) 1:2 **აეკ** (საბერძნეთი)
1:0 მიკოლიუნასი (62), 1:1 კაპეტანოსი (89), 1:2 ბერა (90ს.კ.)

**მილანი** (იტალია) 1:0 **ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)
1:0 ინძაგი (22)

**ზალცბურგი** (ავსტრია) 1:0 **ვალენსია** (ესპანეთი)
1:0 პიტაკი (73)

**ლივერპული** (ინგლისი) 2:1 **მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი)
0:1 ბოკოლი (29), 1:1 ბელამი (33), 2:1 მარკ გონსალესი (89)



ლილი — რაბოტნიჩკი. მიშელ ბასტოსმა სტუმართა მეკარეს აუღებელი დაურტყა



კოპენჰაგენი — აიაქსი. ამსტერდამელებს სტუმრად გამარჯვება კლაას იან ჰუნტელაარის (№9) დუბლმა მოუტანა



ანდრეი შევჩენკო: „ჩელსის“ პერიოდი



მილანი — ცრვენა ზვეზდა. ფილიპო ინძაგიმ 34-ე დაბადების დღე გოლით აღნიშნა

## შოტლანდია

**ლიგის თასის პირველი ეტაპი**

არბროთი 0:1 *ელგინი*
*ეარი* 2:0 ბერვიკი
მონტროუზი 1:3დ.დ.(1:1) *პიტერჰედი*

## შვედეთი

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. II ტური**

ჰამბურგი (მ) 1:4 ვუპერტალი
ემდენი 0:1 ლიუბეკი
ზანკტ პაული 2:1 დორტმუნდი (მ)
გლადბახი (მ) 1:2 დინამო
ლევერკუზენი (მ) 3:3 ვერდერი (მ)
კილი 5:0 მაგდებურგი
ვილჰელმშაჰვენი 0:1 ჰერტა (მ)

**სამხრეთ რეგიონალლიგა. II ტური**

კასელი 1:0 ჰოფენჰაიმი
ვეჰენი 1:1 აალენი
მიუნხენ 1860 (მ) 2:3 ელვერსბერგი
ზიგენი 0:1 ინგოლშტადტი
პირმასენსი 2:0 ლაუტერნი (მ)
კიკერსი 2:1 კარლსრუე (მ)
პფულენდორფი 0:1 ბაიერნი (მ)

## ინგლისი

**ჩემპიონატი. II ტური**

სანდერლენდი 0:1 ბირმინგემი
საუთჰემპტონი 2:0 ქოვენთრი

**პირველი ლიგა. II ტური**

ჩესტერფილდი 0:0 კარლაილი

**მეორე ლიგა. II ტური**

ბოსტონი 0:1 პიტერბრო

## შვედეთი

**ალსვენსკა. XIV ტური**

გაის 2:2 ჰეკენი

**სუპერეტა. XVIII ტური**

იონკოპინგი 1:1 ნორჩიოპინგი

## ისლანდია

**პრემიერდივიზიონი. XIII ტური**

რეიკიავიკი 2:2 კეფლავიკი

## ამხანაგური მატჩები

რუსენბორგი (ნორვეგია) 1:2 უიგანი (ინგლისი)
მეხელენი (ბელგია) 0:0 როდა (ჰოლანდია)
ერკულესი (ესპანეთი) 0:3 სარაგოსა (ესპანეთი)
სპარტა (ჰოლანდია) 1:0 ბლეკბერნი (ინგლისი)
სელტიკი (შოტლანდია) 1:1 ჩელსი (ინგლისი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2:1 მალიორკა (ესპანეთი)
იაპონია 2:0 ტრინიდადი
იორდანია 2:2 ერაყი
საუდის არაბეთი 1:0 ბაჰრეინი
ირანი 1:0 საამიროები
ლომელი (ბელგია) — ვალვაიკი (ჰოლანდია) გადაიდო

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხრიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge